პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1934 წ. მაისი
პარიზი

№ 43

1934 — MAI
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა ⁞⁞ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

26 მაისისათვის

აი მეთექვსმეტე წლისთავი 26 მაისისა.

და რაც უფრო მეტი დროის მანძილი გვაშორებს ჩვენ მას, რაც უფრო უკან იხევს ის ისტორიულ პერსპექტივის ხაზზე, მით უფრო მკაფიოთ ისახება მისი ნამდვილი აზრი და მნიშვნელობა.

უდიდესი თარიღი ქართველი ერის ისტორიაში საშუალო საუკუნეთა ეპოქიდან მოკიდებული, ჩვენი ერის მკვდრეთით აღდგომის მომასწავებელი, ჩვენი ძველი სახელმწიფოებრივობის აღმადგენელი განახლებული შინაარსით და მისწრაფებით, გაჯანსაღებული და გამრთელებული სხეულით.

26 მაისი მრავალფეროვანია, მრავალკუთხიანია, საოცრათ მდიდარი შინაარსისაა. მისი დედა-ძარღვი —ეროვნული—მჭიდროთ დაკავშირებულია პოლიტიკურთან, პოლიტიკური სოციალურთან, სოციალური ეკონომიურთან. ეს მრავალფეროვანება მისი სახისა, ეს სიმდიდრე და სირთულე მისი შინაარსის აძლევს მას მტკიცე, ურყევ, სამარადისო ხასიათს, ხდის მას მკვიდრ საფუძვლათ ერის მომავლისა. ერთიცა და მეორეც მოწმობს, რომ 26 მაისი არის არა შემთხვევითი მოვლენა, შედეგი შემთხვევით საგარეო კომბინაციისა, არამედ მწიფე ნაყოფი ერის შინაგანი, ორგანიული განვითარებისა.

ნახევარი საუკუნის წინ, გამოჩენილი ქართველი მოღვაწე ნაღვლიანათ სჩიოდა: «ქართველო!» ს დაძახებაზე ქართლელს გარდა იქნებ კახელი გამოგეხმაუროს, ხოლო იმერელი, მეგრელი, გურული და სხვანი ყურსაც არ გაიბერტყენო. ეს კუთხური კარჩაკეტილობა თან ახლდა წოდებრივ შუღლს: «არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი—ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არისო» *).

და, აი, გავიდა 50-ოდე წელი და 26 მაისს გამოკრთა სახე მთლიანი, გაერთიანებული საქართველოისა.

გასული საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთმა დაიპყრო და შეიერთა არა საქართველო, არამედ საუკუნეთაგან დარღვეული სხეულის ცალკე ნაწილები: ქართლ კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო და სხვ.

1918 წლის 26 მაისს კი რუსეთს ჩამოშორდა მთლიანი საქართველო, ტერიტორიულათ ერთად შეკრული და გაფართოებულიც კი, კულტურულად შედუღებული, პოლიტიკურად ერთი შეგნებით და საერთო ჭირ-ვარამის გრძნობით შეიარაღებული.

მაშინ რუსეთმა უღელი დაადგა ბატონ ყმობაზე დაყრდნობილ ქართულ სამეფოთ და ქართულ სამთავროებს; 26 მაისს კი მეფეთა იმპერიის ნანგრევებიდან ზღაპრულ ფენიქსივით აღმოცენდა თავისუფლებაზე დაყრდნობილი ერთი და განუყოფელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

რამ მოიტანა ამოდენა ცვლილება ასე ცოტა ხნის განმავლობაში? რა სასწაულით დაილეწა ფეოდალური ხანის მიერ ნაანდერძევი ის კუთხურ კარჩაკეტილობა, რომელმაც ქართლელს, იმერელს, კახელს, მეგრელს და სხვ. დაავიწყა ურთ-ერთის ძმობა და ნათესაობა? ეს სასწაული გახლდათ რუსეთით საქართველოში დასავლეთიდან შემოჭრილი ახალი სოციალ ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში იყო საფუძველი ახალი ეროვნობის შექმნისა და აღორძინებისა. ვაი იმ ერს, რომელიც ამ ახალ ეკონომიურ-სოციალურ პროცესების პასიური ობიექტი ხდება, მათ ვერ შეიცნობს, მათს შედეგებს ვერ გაითვალისწინებს და საკუთარ ეროვნულ პირობებს ვერ შეუფარდებს! მას თანამედროვე ერთა კრებულში ადგილი არ აქვს, მისი გზა დახშულია ისტორიაში. ქართველმა ხალხმა საბედნიეროთ დროზე აუღო ალღო ამ ახალ დროის მოვლენებს და შეგნებულად დაუკავშირა მათ თავისი ეროვნული საქმე. საქართველოს სოც. დემოკრატიას საბუთი აქვს იამაყოს იმ გარემოებით, რომ ამ ალღოს ამღებნი და ჩვენი ეროვნული ბედის ახალ ევროპიულ განვითარების ხაზზე ამწყობნი იყვნენ მისი მამათ-მთავარნი, მისი პირველი წყება, «მესამე დასათ» წოდებული. ნოე ჟორდანია გახლდათ საქართველოს ახალ ვითარებაში რომ ამოიკითხა, 90-ანთ წლებში: ქართველ ერს ძველთაგან დაკარგულ მის ეროვნულ პოზიციებს ქართველი დემოკრატიის მოვლინება დაუბრუნებსო, ფეოდალურ ხანაში დაქუცმაცებულ და დაქსაქსულ ქართველობას მისი ახალი ეკონომიური ვითარება უყრის თავს, აერთიანებს მთლიან თანამედროვე ერად აქცევსო. ამ შემეცნებაზე აეგო ქართველი სოციალდემოკრატიის ბრძოლა და პრაქტიკული მოქმედება, ამით იყო ის ძლიერი, ეს გახდა თავდები მისი გამარჯვებისა. სანამ უხილავი ისტორიული «თხუნელა» თავის საქმეს აკეთებდა, სანამ ჩვენი ცხოვრების მატერიალური პირობების გარდაქმნის ობიექტიური პროცესი სწარმოებდა, ქართველი სოციალდემოკრატია. ამ პროცესის ტენდენციების და შედეგების გაგებაზე დაყრდნობილი, ხალხს განახლებისა და განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მოუწოდებდა. მან პირველმა გამოიყვანა, გააცნობიერა და მოქმედებისათვის შეაკავშირა და შეჰკრა ქართველი მშრომელი ხალხი, კანონიერი მემკვიდრე წარსულისა და მთავარი მამოძრავებელი აწმყოსი და მომავლისა. მან პირველმა შექმნა ფართო და მომქმედი თანამედროვე ეროვნული ძალები, რომელნიც მოწოდებული იყვნენ წარსულის ნაცრიდან გამოეტანათ მიბჟუტული ეროვნული ცეცხლი და, მწველ ალათ ქცეული, მომავლისათვის გადაეცათ.

1917 და 18 წლებმა გაუკეთა ჯამი უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართველობაში მომხდარ ღრმა და გადამწყვეტ ცვლილებებს. თითქოს ილია ჭავჭავაძის მიერ 1866 წ. დასმულ კითხვების საპასუხოთ, გაისმა ეროვნულ ყრილობაზე თფილისში, 1917 წ. ნოემბერში: «ამიერიდან აღარ არის არც თავადი, არც აზნაური, არც გლეხი, არის მხოლოდ მთლიანი, გაერთიანებული ქართველი ერიო». ეს იყო ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის და ჩვენი პარტიის ბელადის პირით წარმოთქმული დეკლარაცია ქართველობის ახალ საფუძვლებზე კვლავ შექმნისა, მისი თანამედროვე ერათ თავის შეგნებისა, რაიცა 26 მაისის აუცილებელ პირობას შეადგენდა. ამის შემდეგ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა მხოლოდ დროის და პირობების საქმე იყო. ისტორიამ ინება რომ მას 6 თვის მეტი აღარ დაყოვნებოდა.

ჩვენი ხალხის ეროვნული თავისუფლება სწორედ იმ გზით და ხაზით მოვიდა, რომელსაც სოციალ-დემოკრატია მიუთითებდა.

ასე განუყრელად, ინტიმურად, ორგანიულად დაკავშირებულია ქართველი სოციალდემოკრატია 26 მაისთან, დაკავშირებულია როგორც წარსულში, ისე მომავალშიაც. 13 წელია რაც ქართველ ერთან ერთად 26 მაისიც უცხოთა ტყვეობაშია. მაგრამ ერის წიაღიდან აღმოცენებული, ის ისევე უკვდავია, როგორც თვით ერი. ის მთელი ქართველობისათვის მომავლისაკენ გზის მაჩვენებელი ლამპარია. ხსნა მის გარეშე არ არის. 26 მაისში თავმოყრილია ჩვენი ხალხის ეროვნული, პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური იმედები და მისწრაფებანი. მის სადარაჯოზე კვლავ მშრომელი ხალხი სდგას პირველ რიგში, ჩვენი პარტიის მეთაურობით. კვლავ ისტორიული «თხუნელა» 26 მაისის სასარგებლოთ მუშაობს უჩინარად, უხმოდ, მაგრამ შეუჩერებლივ და ულმობელად. რა უყოთ, რომ ჩვენ გვეჩქარება, მეტისმეტ ნელად მიგვაჩნია ისტორიულ ჩარხის ტრიალი! წლები წუთებია ერის ცხოვრებაში. ყოველი განვლილი წელი საქართველოს მის ბრწყინვალე გამარჯვების დღეს უახლოვებს.

26 მაისის კვლავ ამობრწყინებას ვერავითარი ძალა ვერ შეუშლის ხელს, ისე როგორც ვერავითარი ძალა ვერ შეაფერხებს ისტორიის ჩარხის წალმა ტრიალს.

საქართველოს საგარეო პოლიტიკა

საქართველოს მუდამ ქონდა და აქვს თავისი საგარეო პოლიტიკა.

ქონდა ისტორიულ წარსულში—მეფეთა ხანაში, მეცხრამეტე საუკუნეში—რუსეთის ბატონობაში, დამოუკიდებელ რესპუბლიკაში და აქვს დღეს, მოსკოვის ოკუპაციის დროს.

რა ახასიათებდა ამ პოლიტიკას თვითეულ ამ ისტორიულ პერიოდში?

საგარეო პოლიტიკის საგანია პირველყოვლისა გადარჩენა ერის ფიზიკურათ უცხოთა შემოსევის და გაჟლეტისაგან. გადარჩენა მისი დამოუკიდებლობის, ნაციონალური ყოფა-ცხოვრების და წყობილების, შენახვა მისი შინაგანი ძალებით განვითარების, მისი მატერიალური და იდეიური საუნჯის გამდიდრების, აღორძინების და აყვავების. აქ წინ დგება ერის საერთო ინსტერესები და ამ დროშის ქვეშ ის ეპირდაპირება უცხოეთს. ეს დაპირდაპირება ღებულობს ორ ფორმას: თავდაცვის და შეტევის, ბრძოლას დამპყრობელთა წინააღმდეგ და ბრძოლას დასაპყრობელათ. საგარეო პოლიტიკა იძიებს გზებს, საშუალებებს ორივე ამ ფორმის საწარმოებლათ და გასატარებლათ.

მაშასადამე, საგარეო პოლიტიკა არსებობს იმიტომ, რომ არსებობს ქიშპობა და ბრძოლა სხვა და სხვა ერთა და სახელმწიფოთა შორის. ამ საერთო შუღლში თვითეული მისი მონაწილე ცდილობს, რასაკვირველია, გადარჩეს და გაიმარჯვოს. ქართველი ერი ერთი ამ მონაწილეთაგანია და იძულებულია თავი დაიცვას და გადარჩეს. როგორ, რა გზით—ეს საკითხი მას მუდამ ედგა წინ და მას სჭრიდა თავისებურათ.

საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე გადამჭრელ გავლენას ახდენდა ერის მცირე რიცხვიანობა და უხსოვარი დროიდან დღევანდელ მის მიწა-წყალზე დასახლება. პირველი შემთხვევა მას არ ანებებდა ეწარმოებია აგრესიული პოლიტიკა, სხვა ხალხების დაპყრობა და დარბევა, ხოლო მეორე შემთხვევა მას არ ანებებდა თავისი მიწა-წყლიდან აყრილიყო, სხვა ხალხებში ათქვეფილიყო ან მათთან თავი შეეფარებია და მათი გავლენის ქვეშ ჩავარდნილიყო. ორივე ამ გარემოებით ის იძულებული იყო ეწარმოებია თავის დაცვა თავის საკუთარ ტერიტორიაზე და ამ დიდი მიზანისათვის სავსებით დაემორჩილებია მთელი თავისი საგარეო მოღვაწეობა.

სანამ საქართველო კულტურულათ წარმოადგენდა ნაწილს ძველი სპარსეთის, ეს მისი საგარეო მუშაობა წარმოებდა გვარიან მწყობრათ სპარსთა გვერდით და მათი დახმარებით. პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი სპარსელი იყო. ჩვენი პატარა ერის დიდი ერის მფარველობით და კეთილმეზობლობით გადარჩენა და მისი თავისუფლების დამაგრება ამ დროის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა. მაგრამ ბიზანტიის აღორძინება და ქართველობის გაქრისტიანებით მის გავლენის სფეროში მოქცევა სცვლის მთელ ობიექტიურ მდგომარეობას და ართულებს საგარეო მუშაობას. საქართველო ემწყვდევა ორ დიდ სახელმწიფოს გვერდით, ამათში ერთი კერპთაყვანისმცემელია, შემდეგ მუსულმანი, ხოლო მეორე კი ქრისტიანი. მათ შორის შუღლი და ბრძოლა იღებს შეუწყვეტელ ხასიათს. რა პოზიცია დაიჭირა ამათ შორის ქართველ მთავრობამ?

ერთი შეხედვით, აქ ასარჩევიც არაფერია, ქრისტიანი ერი მუდამ გვერდში უნდა ყოლოდა მეორე ქრისტიან ერს. ე. ი. რელიგიური მოსაზრება უნდა გამხდარიყო საგარეო პოლიტიკის მთავარ შინაარსათ. აი ეს დებულება, რაიცა დიდი ხნის შემდეგ საქართველოს საგარეო პოლიტიკათ გახდა, სრულიად უცნობია ჩვენი ისტორიის კლასიკურ პერიოდში. აქ წინ დგება სახელმწიფოს ინტერესი, მიუხედავათ მისი რწმენისა და სამღვთო წერილისა, ინტერესი რეალური, ანგარიშზე აგებული, ავანტიურას და ფანტაზიას მოკლებული. რა მოუხდება ერს, სახელმწიფოს—აი რა საკითხია გადასაჭრელი. რელიგია ცვალებადია, წარმავალია, ერი მუდმივი, უცვლელია. აი ეს მუდმივი, უცვლელი მოვლენა არის საგანი სახელმწიფო პოლიტიკისა და ის დგება პოლიტიკის წინა რიგში. ორი დიდი მოქიშპე სახელმწიფოს შორის საქართველოს შეეძლო თავი გადაერჩინა ორივესაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებით, დარჩენილიყო მესამე ფაქტორათ, არ ჩავარდნილიყო ერთ-ერთის კოალიციაში და მით სამუდამოთ ხიდი არ ჩაეტეხა მეორე მეზობელთან. ამ პოლიტიკის საუცხოვო ნიმუშია ვახტანგ გორგასლანის მოქმედება. ის თხოულობს წარმართი შახის ქალიშვილს და მას უმოყვრდება; ბიზანტია სპარსეთის ომში დახმარებას აღუთქვამს უკანასკნელს, ამით აიძულებს პირველს დაუბრუნოს წართმეული ქართული პროვინციები, რომლის შემდეგ მეფე ვახტანგი გამოდის ორივე მეომართა არბიტრათ და მომრიგებლათ. სპარსეთის ახალი მეფე სარწმუნოებრივი მოტივებით მოდის საქართველოზე, საიდანაც ცეცხლის თაყვანისმცემელნი განდევნეს და ფიქრობს ძალით ძველი სარწმუნოება აღადგინოს. მეფე სთხოვს დახმარებას ბიზანტიას: ბერძენთა ჯარის გამოჩენა საკმაო გახდა უომრათ მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ და სპარსთა ჯარების პატივით უკან გასასტუმრებლათ.

განსაკუთრებით ძნელი შეიქნა საგარეო პოლიტიკის წარმოება მაჰმადიანობის აღორძინებიდან, როცა საქართველო მოექცა მახმადიანთა ზღვაში, როგორც პატარა კუნძული, თუმცა მარჯვენა მხარეზე ბიზანტია განაგრძობდა არსებობას. დაკავშირება ამ დიდ ქრისტიანულ სახელმწიფოსან ნიშნავდა გადაკიდებას ყველა სხვა მეზობლების და თავისი ფიზიკური არსებობის ხიფათში ჩაგდებას. სამოქალაქო მომენტი სძლევს რელიგიურ მომენტს და ერი განაგრძობს დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას. არაბთა ბატონობის დროს ქართველობა ეწყობა შიგნიდან ამ ბატონობის უღლის ქვეშ, ვითარდება და ძლიერდება და უცდის დროს არაბთა გასადევნათ. ასეთი დრო კიდევაც დაუდგა. მაჰმადიანებთან შეგუება, როცა არა სჯობს გაცლა, როცა სჯობს ომი, და ამ გზით თავისი ფიზიკური, კულტურული და პოლიტიკური არსებობის შერჩენა—აი ამ დროის რეალური სახელმწიფო პოლიტიკა. ამ პოლიტიკას მისდევდა ყველა დიდი მეფე მე-16 საუკუნემდე. აქედან გამომდინარეობდა ის საოცარი მოვლენა, რომ ევროპის რელიგიურ აღტყინებაში, ჯვაროსანთა ომებში მონაწილეობაზე საქართველომ უარი განაცხადა და სომხებივით თავისი თავი არ მიიტანა სასაკლაოზე. ქართველები კარგათ ხედავდნენ, რომ ევროპიელები შინ დაბრუნდებოდნენ, ხოლო ისინი კი დარჩებოდნენ პირისპირ მაჰმადიანებთან განმარტოვებულნი. სახელმწიფო სარბიელზე საქართველო სრულიად არ არჩევდა ქრისტიანს და არა ქრისტიანს, ორივეს ერთნაირათ ებრძოდა ომით და აძლევდა ზავს, თავის ინტერესების მიხედვით. თამარის ომები ბიზანტიასან ცნობილია.

ერთი სიტყვით, მთლიანი საქართველოს საგარეო პოლიტიკა ნათელია: ის ცდილობდა არ მომხდარიყო იზოლიაციაში, არ დაპირდაპირებოდა მუსულმანობას, როგორც ამნაირს, არ ჩამდგარიყო ანტიმუსულმანურ ბლოკში და არ გადაეკიდებია მეზობლები. ეს პოლიტიკა დაგვირგვინდა შესამჩნევი ნაყოფით. მაშინ როდესაც მუსულმანობა ცდილობდა მოესპო მეზობელი საქრისტიანო სახელმწიფოები და კიდევაც მოსპეს, ჯერ სომხეთი, შემდეგ ბიზანტია, საქართველოს მიმართ კმაყოფილდებოდენ მისი თავის გავლენის ქვეშ ჩაყენებით, თავისი ორბიტაში მომწყვდევით. ამ გზით ერი ირჩენდა თავის თავს გაჟლეტის და გადასახლებისაგან, სახელმწიფო თავის პოლიტიკურ წყობილებას, თავის პროვინციებს, ქრისტიანობა თავის სარწმუნოებას და კულტურას.

შერჩა ამ პოლიტიკას საქართველო?

მოხდა ორი დიდი ამბავი: დაეცა ბიზანტიის იმპერია მისი სატახტო ქალაქით (1454 წ.) და ოსმალები გაბატონდენ ბალკანეთში; განვითარდა ჩვენში ფეოდალიზმი და დაეცა საბოლოთ საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა.

პირველმა გარემოებამ გამოიწვია მოსკოვის პრეტენზია ბიზანტიის სარწმუნოებრივ მემკვიდრეობაზე; 'ვასილი მესამე ირთავს ბერძენთა ბატონიშვილს, იღებს საბერძნეთის სახელმწიფო გერბს და ტიტულებს და ცხადდება ბიზანტიის იმპერატორთა მემკვიდრეთ. მართლმადიდებლობის პოლიტიკური ცენტრი ხდება მოსკოვი, ისე როგორც წინეთ იყო კონსტანტინოპოლი. მაგრამ ამით საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა სრულიად არ იცვლება. ახლაც, ისე როგორც წინეთ ბიზანტია, მოსკოვი ეპირდაპირება მუსულმანობას და მართავს მასან სისტემატიურ ომს. საქართველოს პოზიცია ამ ბუმბერაზებს შორის უნდა ყოფილიყო ისეთივე, როგორიც იყო წინეთ—დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება და მეზობლებთა წინაშე ლოიალობა. ნამდვილათ კი მოხდა ამ პოლიტიკის სავსებით უკუგდება და გადაჭრით ანტიმუსულმანური ბლოკის არჩევა მოსკოვის გვერდით.

ეს საოცარი მოვლენა აიხსნება მხოლოდ ფეოდალიზმის გამარჯვებით და სახელმწიფო პოლიტიკის მაგიერ კუთხური და პიროვნული პოლიტიკის ამუშავებით. თვითეული ფეოდალი, თვითეული მეფე, ამ ფეოდალების მიერ შეწუხებული, ეძებს საკუთარი გზით და საკუთარი ჭკუით მეგობარს, მფარველს და გამორჩენას. რატომ ამ ხანაში იწყება ასეთი მფარველის რუსეთში ძებნა? ამის მიზეზია განვითარება ფეოდალიზმის თანამგზავრის—კლერიკალიზმის, რელიგიური საკითხების წინა რიგებში წამოყენება და ქვეყნის ინტერესების სარწმუნოების თვალსაზრისით გაზომვა. მოსკოვი ხდება ქართველი სამღვდელოების მექა.

პირველ მიწერ მოწერას და ელჩების გზავნას მოსკოვში იწყებს კახეთის მეფე ალექსანდრე 1492 წ. მას მიბაძა ქართლის მეფემ გიორგი მეათემ; მათ გზას აგრძელებენ მათი მემკვიდრენი. ესენი სთხოვენ მოსკოვის მეფეს «მიიღონ ისინი რუსეთის ქვეშევრდო-

---

*) იხ. ი. ჭავჭავაძის «საქართველო», დაწერ. 1866 წ.

მობაში»; მეფე ალექსანდრე მეორე შეფიცავს რუსეთის მეფეს «ერთგულ ქვეშევრდომობას შვილებით და პირდება უხადოს ხარკი წლიურათ ქართული ნაქსოვებით» (დუბროვინი). ერთი სიტყვით ქართლ-კახეთის მეფენი უარს ამბობენ თავის სუვერენობაზე, აღიარებენ რუსეთის ქვეშევრდომობას და საფასურათ ითხოვენ მფარველობას და დახმარებას მუსულმანობის წინააღმდეგ.

იბადება საკითხი: იცოდენ კი ამ ახირებულ პოლიტიკოსებმა არა თუ მოსკოვის მართველობის სისტემა, არამედ მისი გეოგრაფიული საზღვარი მაინც? იმ დროს როცა კახეთი ითხოვს მისგან ჯარით შველას, მისი სამხრეთი საზღვარი გადადიოდა მდინარე ოკაზე (დღევანდელი მოსკოვის და რიაზანის გუბერნიას შორის), ქვემოთ მდებარეობდა კაზაკების დამოუკიდებელი რესპუბლიკა, იმის ქვემოთ ყირიმის და ასტრახანის სახანო, მერმე კიდევ ჩერქეზები—ერთი სიტყვით არავითარი საშუალება რუსეთიდან რაიმე სამხედრო დახმარების მიღების. პოლონეთი გაცილებით უფრო ახლო მდებარეობდა ჩვენგან, ვინემ მაშინდელი რუსეთი. არც არავითარი რეალური დახმარება მოსკოვიდან არ მოსულა საქართველოს არც ერთ გაჭირებულ მდგომარეობაში, ხოლო რუსეთში კი მიდიოდენ ქართველები, შედიოდენ იქ სამხედრო სამსახურში და თავს დებდენ მოსკოვისათვის. «ქართული გუსართა პოლკი თათრების წინააღმდეგ ომში 1739 წ. შესანიშნავათ იბრძოდა», სწერს ბუტკოვი. ამის გამო 1740 წ. განსაკუთრებითი უქაზით გადაწყდა «ქართველების მოწვევა გაგრძელდეს და მათგან დაარსდეს ათი როტა». დამხმარე რუსის ძალა საქართველოში არ მოდის, ხოლო ქართული ძალა კი იქით მიდის და ეხმარება «საწყალ» რუსეთს თურქების წინააღმდეგ!

აი ამ ფანტასტიურ ავანტიურისტულ საგარეო პოლიტიკამ სავსებით შესცვალა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა და დაედვა საფუძვლათ ყველა უბედურობას, რაც შემდეგ მას თავს დაატყდა. რუსეთი აწარმოებს ომებს ჯერ ყაზანის სახანოსან, შემდეგ ასტრახანის, შემდეგ ამათი ძლევისა სპარსეთთან კასპიის ზღვისა და სავაჭრო მიზნებისათვის; ამავე დროს ომები ოსმალეთთან დუნაის მიმართულებით და ყირიმით. ამ ბუმბერაზების შორის მომწყვდეული პატარა საქართველო გადაჭრით ემხრობა ერთ მხარეს, ისიც უშორეს, რომელსაც მოსავალი გზებიც კი არ აქვს ჩვენამდე. ახლა იბადება სპარს ოსმალეთში აზრი საქართველოს მოსასპობათ, მსგავსათ სომხებისა, და მით რუსის საფრთხის კავკასიის გზით თავიდან მოშორებისა. მაგრამ პირველათ სცადეს დიპლომატიური საშუალებანი. სპარსეთის შახი, შაჰ-აბაზი უთვლის ქართლ-კახეთის მეფეთ ჩამოშორდით რუსეთს და მიირთვით ყოველივე შეღავათებიო. ამათ არ გასჭრა. იწყება კახეთის აოხრება სპარსელებისაგან და ქართველების მასიური გადასახლება. მეორე მხრით, ოსმალეთმაც სცადა საქართველოს ჩამოშორება რუსეთიდან და როცა ამას ვერ მიაღწია იწყო ქართული დაპყრობილი პროვინციების ძალით გამაჰმადიანება. სამცხე-სათაბაგო, აჭარა-ქობულეთი ხდება იძულებული მიიღოს ისლამი.

როცა ასეთი საშინელი ამბები ტრიალდებოდა ჩვენში, როგორ გვეპყრობოდა ჩვენი მძლავრი მოკავშირე, რუსეთი? პეტრე დიდს სპარსთან ომში ვახტანგ მეფემ მიაშველა 40 ათასი მეომარი, რითაც რასაკვირველია მეტათ გაარისხა როგორც შახი, ისე სულთანი. მაგრამ ზავის ჩამოგდების დროს მოსკოვმა «დაივიწყა» საქართველო და ჩაუტოვა ის უმწეოთ განრისხებულ მეზობელთ. შაჰმა იჯერა გული ვახტანგზე, გააძევა საქართველოდან და ისიც თავს აფარებს მრავალი საუკეთესო ქართველით მოსკოვს. ხოლო ქვეყანას კი აოხრებს შემოსეული სპარსელები. ერეკლე მეორე გაყვა მამის—თეიმურაზის გზას, გააგრძელა მეგობრობა სპარსეთთან, მონაწილეობაც კი მიიღო მის ომებში ინდოეთის საზღვარზე, მაგრამ ამ ხაზს ბოლომდე ვერ შერჩა, ჩაება რუს-ოსმალეთის ომში (1770 წ. ასპინძის ომი) რუსეთის დასახმარებლათ, და მით გადაეჯაჭვა სარუსეთო პოლიტიკას; უკან დასახევი გზა აღარ ქონდა.

ბოლოს, სულ ბოლოს, სამასი წლის ლოდინის შემდეგ, როგორც იყო მოვიდა საქართველოში «მოკავშირე» ჯარებით და დახმარების მაგიერ, ის სავსებით მოსპო და თავის გუბერნიათ აქცია. ასე საქვეყნოთ დამარცხდა მეთექვსმეტე საუკუნიდან დაწყებული ჩვენი საგარეო პოლიტიკა: ქვეყანა აოხრებული, ერის მესამედი გამაჰმადიანებული და უცხო უღელში მყოფი, მცხოვრებთა რიცხვი განახლებული, თავისუფლება დაკარგული, საერთაშორისო ურთიერთობიდან გამოვარდნილი.

ამნაირათ, მეფეთა ხანაში იყო ნაწარმოები ორი მოპირდაპირე საგარეო პოლიტიკა: ერთია პოლიტიკა სახელმწიფოებრივი, რეალურ ინტერესებზე აგებული, ერის სვებედზე მზრუნავი და სინამდვილეზე დაყრდნობილი, მეორეა პოლიტიკა ფეოდალური, კუთხური, ოჯახური, პირადი თუ ჯგუფური სარგებლობის მაძიებელი, ერისთვის ავანტიურისტული და დამღუპველი. რაკი არ იყო ერთი სახელმწიფო, არ იყო ერთი სახელმწიფო პოლიტიკა. საქართველოს პატრონი არ დაურჩა.

აი ამ ფეოდალური საგარეო პოლიტიკით გადმოვედით მეცხრამეტე საუკუნეში.

ნ. ყ.

მიმდინარე პოლიტიკა

დიდი ომის შემდეგ მიულერის, ვირთის, შტრეზემანის და ბრიუნინგის მთავრობების დროს გერმანია ცდილობდა ევროპის ყველა ქვეყნებთან საქმეები მშვიდობიანი გზით და კომპრომისით მოეგვარებია. ასეთი ხაზის მთავარი მატარებელი და დამცველი უმთავრესათ გერმანიის სოც. დემოკრატია იყო. გერმანიაში იმ დროს ისეთი ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი სუფევდა, რომ მას სხვა გზით სიარული და მოქმედება არც კი შეეძლო. მაგრამ საფრანგეთმა ვერ მოახერხა, უკეთ რომ ვსთქვათ, არ მოისურვა გერმანიასთან საერთო ენის გამონახვა და მასთან პირდაპირი შეთანხმება. განზრახვა იყო, გერმანია ერთხელ დამარცხებული და წამოჩოქებული წელში ვერ გამართულიყო და ფეხზე რიგიანათ ვერ დამდგარიყო. ვიცით, რომ გერმანიის ასეთი მდგომარეობა შეიქნა შემდეგში გერმანელ ნაციონალისტ-შოვინისტებისათვის დემაგოგიის უდიდესი საბაბი.

დამარცხებულ გერმანიას დიდი წონა და გავლენა აღარ ქონდა ცენტრალურ ევროპაში. მცირე ანტანტის ქვეყნების—ჩეხოსლოვაკიის, რუმინიის და იუგოსლავიის დამცველათ და დამხმარეთ ყოველგან საფრანგეთი გამოდიოდა და მათი საერთო პოლიტიკის მთავარი გეზის მიმცემიც ის იყო. საფრანგეთი ცდილობდა აგრეთვე დაახლოვებოდა და მკვიდრი კავშირი გაება ცენტრალური ევროპის და დუნაის სხვა ქვეყნებთანაც. ასეთი მისი ჰეგემონია კი არ მოსწონდა ინგლისს, რომელიც ტრადიციულათ კონტინენტზე დიპლომატიურ წონასწორობის დამამყარებლის როლს ასრულებდა. ის წინააღმდეგი იყო საფრანგეთის გაძლიერების და მისთვის თავის როლის დათმობის. ამიტომაც იყო, რომ ინგლისი მთელი წლების განმავლობაში სარეპარაციო და განიარაღების საკითხებში უფრო გერმანიის მხარეზე იყო, ვიდრე საფრანგეთისაზე. საფრანგეთის გავლენის გაძლიერებას ცენტრალურ ევროპაში ვერ ურიგდებოდა ვერც იტალია, რომელსაც იქ უდიდესი ინტერესები აქვს. ის მუდმივათ იცავდა გერმანიას საფრანგეთის წინააღმდეგ და მცირე ანტანტის ქვეყნების საფრანგეთიდან ჩამოსაცილებლათ დიდ პროპაგანდას და მუშაობას ეწეოდა.

ამნაირათ ცენტრალურ ევროპის და დუნაის ქვეყნებში ერთმანეთს უპირდაპირდება ოთხი დიდი სახელმწიფოს—ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და იტალიის ინტერესები.

მაგრამ რას ფიქრობენ თვით ცენტრალურ ევროპის ქვეყნები და როგორია მათი დამოკიდებულება ამ დიდ სახელმწიფოთა მიმართ, რომელთა შორის მათ დასამორჩილებლათ და ხელში ჩასაგდებათ დოლია გამართული?

სამწუხაროთ ამ ქვეყნების მთავრობების უმრავლესობა არ გამოხატავს ნამდვილათ ცენტრალურ ევროპის ხალხთა აზრს და სულისკვეთებას. ამ უმრავლესობას შეადგენენ რეაქციონური და დიქტატორული მთავრობები და ისინი ხშირათ და მათივე ინიციატივით მისდევენ და ემორჩილებიან დიდი სახელმწიფოების ბრძანებებს და დირექტივებს. ერთათ ერთი მთავრობა, რომელიც გამოხატავს დღეს იქ ხალხის საერთო აზრს და რომლის საგარეო პოლიტიკაზე გადამჭრელ გავლენას ახდენს სოციალ-დემოკრატია, არის ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიული მთავრობა.

ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიის ლოზუნგია: ცენტრალური ევროპა უნდა ეკუთვნოდეს ცენტრალური ევროპის ხალხებს და განთავისუფლებულ იქნას დიდი სახელმწიფოების ქიშპობისა და აპეკისაგან. ცენტრალურ ევროპის და დუნაის ქვეყნების შორის უნდა დამყარდეს მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი; შეიქნას ერთი მძლავრი ორგანიზმი, რომლის დამორჩილება აღარ იქნება ადვილათ საფიქრებელი საქმე. საუბედუროთ, ევროპის ამ ნაწილში დღეს დემოკრატია და სოციალისტური პარტიები დაუძლურებული არიან. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის, რომ იქაურ ერთა და ხალხთა სუვერენობას და დამოუკიდებლობას ყველაზე უფრო ენერგიულათ და თავგამოდებით იცავს ჩეხოსლოვაკიის სოციალდემოკრატია.

ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ცენტრალურ ევროპის მდგომარეობა თვალსაჩინოთ გართულდა და შეიცვალა.

გერმანიამ დიდ ომში დაჰკარგა ყველა კოლონიები და დარჩა მხოლოთ შინაური ბაზარის ამარათ. მაგრამ გერმანიის უაღრესათ განვითარებულ მრეწველობას ვერ აკმაყოფილებს დღეს მისი შინაური ბაზარი და ის შესაფერ გამოსავალს ეძებს. კოლონიების უკან დაბრუნებაზე ფიქრი და ზრუნვა ეხლა ჰიტლერელებს უაზრობათ და ფანტაზიის სფეროთ მიაჩნიათ. მთელი მათი ყურადღება მიქცეულია კონტინენტზე ექსპანსიის საკითხებისადმი და ეს არის მათი დაუღალავი მოქმედების და პროპაგანდის მთავარი მიზანი.

ჰიტლერი რასისტული პრინციპის მიხედვით და მის განსახორციელებლათ ემზადება უპირველეს ყოვლისა შემოიერთოს გერმანიის მახლობლათ მდებარე ქვეყნებში მცხოვრები გერმანელები. ამ მხრივ დღევანდელი გერმანიის მთავარი საზრუნავი ავსტრიაა. თუ მან შესძლო ავსტრიის შემოერთება და იქ თავისი მდგომარეობის განმტკიცება, შემდეგი მისი ნაბიჯები გადადგმული იქნება ჩეხოსლოვაკიისაკენ, დუნაის, ბალტიის და სხვა აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებისაკენ.

ჰიტლერის გერმანია უბრუნდება ბისმარკ-ვილჰელმის პოლიტიკის გეზს რუსეთის კოლონიზაციის და Drang nach Osten-ის საკითხში. ევროპის პოლიტიკურ-დიპლომატიურ მსჯელობის მთავარი საგანი დღეს გერმანიის აგრესივობის საშიშროებაა.

ამ ორი თვის წინეთ ჰიტლერი ერთ თავის სიტყვაში ამბობდა, რომ ნაციონალ სოციალიზმი ვერ შეჩერდება იმ ქვეყნის საზღვრებთან, რომელიც გერმანულია არა მხოლოთ თავის ეროვნებით, არამედ თავის ისტორიითაცო. ესე იგი ნაციონალ-სოციალიზმი უნდა გასცილდეს გერმანიის საზღვრებს, შეიჭრას ავსტრიაში და ძალით, შემოიერთოს ეს უკანასკნელი.

ომის შემდეგ, განსაკუთრებით კი მუსოლინის გამარჯვებიდან დაწყებული, იტალია ევროპაში საფრანგეთის გავლენას და ეგემონიას ჰებრძოდა და ის მიაჩნდა მთავარ მოწინააღმდეგეთ. იტალია საფრანგეთის საშიშროების ჰიპნოზით იყო შეპყრობილი და გერმანიის მომავალ მეტოქეობაზე და ჰეგემონიაზე ცენტრალურ ევროპაში არ ფიქრობდა და ეს მას არ აწუხებდა. ის არ ხედავდა, რომ გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური პოტენციალური შესაძლებლობანი მალე ისეთივე თვალსაჩინო და ყველას მიერ ანგარიშ-გასაწევი გახდებოდა, როგორც ეს მსოფლიო ომის წინ იყო. წინააღმდეგ, იტალიამ ყოველნაირი ზომები მიიღო გერმანიის გასაძლიერებლათ და უდიდესი როლი ითამაშა მატერიალურ, თუ მორალურ დახმარებით რასისტების გამარჯვებისათვის ხელი შეეწყო, და დღეს კი ის სწორეთ ამ უაღრესათ გაზრდილ და მომაგრებულ ძალის საშიშროების წინაშე იმყოფება.

თუ ავსტრია შემოიერთა გერმანიამ, ეს უკანასკნელი თავისი 75 მილიონი მცხოვრებით იტალიის პირდაპირი მოსაზღვრე გახდება. ასეთ პირობებში იტალიას მეზობლათ ეყოლება არა პატარა ავსტრია, რომელიც დღეს ერთნაირ ბუფერ-სახელმწიფოს როლს თამაშობს, არამედ დიდი სახელმწიფო, რომელიც თავის თავს ყველა სხვებზე რასიულათ მაღლა აყენებს, შეპყრობილია პანგერმანული მისტიციზმით, გაფაციცებით ამრავლებს და აძლიერებს თავის სამხედრო ძალებს და ემზადება ეკონომიურ-პოლიტიკურ ექსპანსიისათვის.

ჰიტლერიზმის ავსტრიაში გამარჯვება ნიშნავს გერმანიის ცენტრალურ ევროპაში გაბატონებას. მაგრამ იტალიაც ხომ ცდილობს ევროპის ამ ნაწილში ქონდეს გავლენა და სამუშაო ასპარეზი. აქ გერმანიის და იტალიის ნაციონალიზმის ინტერესები ერთმანეთს სასტიკათ ეჯახება.

თუ წინეთ იტალიის საზოგადოებრივი აზრი საფრანგეთის წინააღმდეგ იყო მიმართული და მას სახავდა მთავარ მოპირდაპირეთ ევროპაში, დღეს მდგომარეობა იცვლება და მთავარ საშიშროებას იტალია ეხლა გერმანიაში ხედავს.

იტალიის დღევანდელ პოლიტიკის მიზანია ხელი შეუშალოს გერმანიის გაბატონებას ავსტრიაში, გზა გადაუღობოს მის ბალკანეთისაკენ ექსპანსიას, შექმნას დუნაის ქვეყნებიდან ბლოკი, რომელზედაც შეეძლება მას დაყრდნობა და ამნაირათ განამტკიცოს თავისი გავლენა და მდგომარეობა ცენტრალურ ევროპაში.

იტალია დიდ ძალას და ენერგიას ხარჯავს ავსტრია-უნგრეთთან დასაახლოვებლათ და მათზე თავისი გავლენის დასამკვიდრებლათ. მან ყოველივე ზომები მიიღო ბალკანეთის პაქტზე ხელი არ მოეწერა ბულგარეთს და ალბანიას და ესენი თავის პოლიტიკის ორბიტაში ყოლოდა. იტალია მხარს უჭერს უნგრეთს მცირე ანტანტის წინააღმდეგ და მფარველობს ავსტრიას ჰიტლერიზმისაგან. რასისტები კი ყველა ამაში ხედავენ მათი მისიის გამრუდებას იტალიის მიერ და მის ჩარევას გერმანიის საქმეებში.

ერთათ ერთი მთავარი ძალა, რომელიც ერთ და იმავე დროს ებრძოდა როგორც გერმანიის რასიზმს, ისე იტალიის ფაშიზმის გაბატონებას ავსტრიაში იყო ავსტრიის სოციალდემოკრატია. იტალიის უპირველესი ამოცანა შეიქნა ავსტრიის სოციალდემოკრატია, როგორც მისი სასტიკი მოწინააღმდეგე, თავიდან მოეცილებია და დოლფუს-შტარენბერგებზე თავისი გავლენა გაეძლიერებია. და მართლაც, დოლფუსმა იტალიის რჩევით და დახმარებით ავსტრიის სოციალდემოკრატია გაანადგურა. მაგრამ პატარა ავსტრიის მდგომარეობა ამით სრულებითაც არ გარკვეულა. წინააღმდეგ, ამიერიდან იმართება დაუსრულებელი დოღი გერმანია და იტალიას შორის ავსტრიაში გასაბატონებლათ.

ჰიტლერიზმის გამარჯვება ავსტრიაში და ამ უკანასკნელის ანშლუსი უთუოთ ომს ნიშნავს. ანშლუსის თავიდან ასაცილებლათ შეიძლება მიმართონ ავსტრო-უნგრეთში ჰაბსბურგების დაბრუნებას. მაგრამ ავსტრო-უნგრეთში ჰაბსბურგების დინასტიის აღდგენა იქნებოდა უნგრეთის ხიშტებით ავსტრიის დამონავება, ავსტრიელების დახმარებით კი უნგრეთის საზღვრების გადიდება და არსებული ხელშეკრულებების დარღვევა. ამას კი არ შეურიგდება არც მცირე ანტანტა და არც საფრანგეთი. ამ შემთხვევაშიდაც კონფლიქტი უეჭველია. ძნელია იმის თქმა, როდის, სად და რა სახით მოხდება ეს კონფლიქტები. შეიძლება კონფლიქტის ასპარეზი შეიცვალოს და ის დროებით ერთი ადგილიდან მეორეზე იქნას გადატანილი; მაგრამ ცხადია ერთი—დღეს ყველა მოსალოდნელ კონფლიქტებისათვის ემზადება.

რეაქციამ და დიქტატორულ რეჟიმებმა ცენტრალურ ევროპაში შექმნეს ისეთი პირობები და მდგომარეობა, რომ სახელმწიფოთა და ხალხთა შორის ან და თვით სახელმწიფოს შიგნით მოქალაქეთა შორის შეტაკებები აუცილებელი ხდება. ცხადია, რეაქციის მიერ გამოწვეულ ომს რევოლიუცია მოყვება. ამ რევოლიუციის შედეგი კი უთუოთ ერთა და ხალხთა სუვერენობა იქნება. სრულიათ სამართლიანათ ამბობს ოტო ბაუერი «არბაიტერ ცაიტუნგის» მე-4 ნომერში და თავის ახალ წიგნაკში—«ავსტრიის მუშების აჯანყება», რომ მთელი საერთაშორისო განვითარება ახალ მსოფლიო ომს ამზადებს; ომებს კი რევოლიუციები მოყვება. იქნება არა ერთი შემთხვევა, რომლის გამოყენება შეგვეძლება; შევეცადოთ ყველა შემთხვევებით სარგებლობა ავსტრიის გასანთავისუფლებლათო.

მაგრამ დღეს დიქტატურის მიერ დაპყრობილია არა მხოლოთ პატარა ავსტრია. ჩაგრულ ერთა რიცხვი, რომელთაც მაჯლაჯუნასავით თავზე აწევს საბჭოთა რუსეთის დიქტატურა და რეაქცია არა ერთი და ორია.

პატარა საქართველოს არ შეუძლია და მისგან არ არის დამოკიდებული ვინმესთან რაიმე კონფლიქტი მოაწყოს და გაჩაღოს. ასეთ ავანტიურის გზას ის ვერ დაადგება. მაგრამ, თუ დიქტატორული, იმპერიალისტური და სხვების მჩაგვრელი სახელმწიფონი ერთმანეთ შორის კონფლიქტს მოაწყობენ და გამართავენ, ყველა ხელსაყრელ შემთხვევებს თავის განთავისუფლებლათ პატარა საქართველოც გამოიყენებს.

გ. გვარჯალაძე.

წერილები საქართველოდან

1. კალმით მოვაჭრენი.

მწერალი ზნეობის სიმბოლოა, საზოგადოების სინდისია. მწერალი ცოცხალი და შეურიგებელი პროტესტია საზოგადოების წიაღში არსებულ უკუღმართობის, ჩაგვრის, უუფლებობის და ტირანიის წინააღმდეგ. დესპოტიურ სახელმწიფოში ყველა, დიდი აზრისა და რწმენის მებაირაღტრე მწერალი დევნილი იყო და წამებული, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მოსყიდვა არ ხერხდებოდა. მარტო წვრილმანი ბუნების ან ნიჭიერი, მაგრამ პატივმოყვარეობის მონა ხელოვანნი მოიდრეკდენ ხოლმე თავს ტირანიის წინაშე. მაგრამ დიდი უმრავლესობა ვერ იტანდა შევიწროებას, მონურ ყოფას, ადამიანის ღირსების დამცირებას და შეურაცყოფას. მათ სძაგდათ ვერცხლის ჩხრიალი, ისინი ადამიანობის ტანჯვის მესიტყვებათ ხდებოდენ. ვიქტორ ჰიუგოს მრისხანე პროტესტი 2 დეკემბრის გადატრიალების წინააღმდეგ, მისი ემიგრანტობის წლები, ყველაზე ლამაზი და კეთილშობილი ხანაა მისი ხანგრძლივი ცხოვრებისა. ვაი იმ ერს, რომელსაც გარყვნილი მწერლობა ჰყავს და გათახსირებული ინტელიგენცია.

საქართველო დღეს ბევრ თავის განათლებულ პირმშოთა მიერ არის შეგინებული და დამცირებული. ეს პირშავი შვილები შეუბრალებლათ სჯიჯგნიან მშობლიურ ლექსიკონს, ჰქმნიან მტარვალების ხოტბებს და არაფერს ზოგავენ იმისთვის, რომ უფრო მტკიცედ გამოიჭედოს ბორკილის რგოლები ერის სხეულზე, ხელს უხსნიან ერის დამპყრობელებს და ხალხის ჯალათებს. რამ აიძულა ეს ხალხი საკუთარი ქვეყნის ჯალათთა და მტარვალთა მეხოტბეთ გადაქცეულიყვენ? მხოლოდ და მხოლოდ თავის შენახვაზე და პირად კეთილდღეობაზე ზრუნვამ, რადგან ის ვინც არ იღებს ბოლშევიკურ დოგმებს, დევნილია და მატერიალურად და სულიერად შევიწროებული; დღევანდელი ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის მდგომარეობა სავსებით ამართლებს უკვდავი რუსთველის ნათქვამს: «შიში შეიქმს სიყვარულსა». შიში! განა მონარქიის დროს კი არ არსებობდა შემზარავი ციხეები, მკვდარი სახლები, ბნელი კატორღები, და ყოველ ქალაქში სახრჩობელა არ იყო აღმართული! მაგრამ ქართველი ხალხი ყოველთვის მხნედ იდგა რევოლიუციონურ ბრძოლების მოწინავე პოზიციებზე, მან აუარებელი მსხვერპლი გაიღო, სისხლი დაღვარა და თავისუფლების გამარჯვებისათვის თავისი საუკეთესო შვილები ზვარაკათ მიჰქონდა.

და ჯერ კიდევ გუშინ, 1924 წ. აგვისტოში, ქართველმა ხალხმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა თუ რის მომქმედია იგი. ვერავითარი მხეცური ძალა ვერ მოლუნავს მის ნებისყოფას, მის თავისუფლებისადმი ლტოლვასა და ტრფიალს. აგვისტოს აჯანყებამ მთელ ქვეყნიერებას ამცნო, რომ საქართველო არასდროს არ შეურიგდება უცხო ძალის ბატონობას. არა, შიში ჩვენი ხალხის დამახასიათებელი თვისება არ გახლავთ. ეს პირუტყვული გრძნობა სულმოკლე ერთეულთა სამკაულია...

ძნელია სწერო ქართველ «გაწითლებულ» ინტელიგენციაზე, «დიდი იოსების» ძეგლის ჩრდილებში მოკალათებულ, სულიერად მკვდარ ხალხზე, იმ ლირიკულ ფინიებზე, რომლებსაც გეპეუს სამზარეულოში გადარჩენილ მსუყე ნამცეცებს უყრიან მათი ნამოქმედარის გასამრჯელოთ. არასდროს ქართული აზროვნების ისტორიაში არ ყოფილა დაბმული და შეზღუდული აზრი და სიტყვა ისე, როგორც დღეს. ეს არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს. ამას ყველა გრძნობს, ვისაც კი კალმის ხელში აღება განუზრახავს; მაგრამ აბა ჰკითხეთ გალაკტიონ ტაბიძეს, «პოეტების მეფეს», შემოქმედების იმპულს ღვინის ბოთლში და სახელმწიფო გამომცემლობის სალაროში რომ პოულობს. ჰკითხეთ პატივცემულ რომანისტს მიხეილ ჯავახიშვილს, რომელმაც მოსკოვ-ტფილისის ექსპრესის კომფორტაბელ კუპეში ჩამოიბერტყა «მემარჯვენე» მწერლის მოკრძალებული და გაუბედავი საყვედური. ჰკითხეთ თუნდაც პროფ. კორნელი კეკელიძეს, რომელსაც დეკანოზის ოქროს ჯვარი ალბათ ლენინის ბიუსტის ფუღუროში საიდუმლოთ აქვს შენახული, თუ ვინიცობა ღმერთი გაწყრა და მისი ჩამოკიდება ხელახლა დასჭირდა. ისინი თქვენ მოგიგებენ: «ქართული სიტყვა იფურჩქნება. კულტურა იზრდება. მეცნიერება ყვავისო!» ეს იმ დროს როცა რაიმეს დაწერა, იქნება ეს მოთხრობა, პუბლიცისტური წერილი, დრამა თუ მეცნიერული მონოგრაფია, მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში არის შესაძლებელი და წინასწარ დადგენილ ვიწრო ჩარჩოში უნდა მოთავსდეს. ამას გარდა თუ თქვენ წერა გსურთ, ბუნების მიერ მატყუარობის გასაოცარი ნიჭით უნდა იყოთ დაჯილდოვებული, რომ სწეროთ იმაზე, რაც ნამდვილათ არ არსებობს.

როგორ შეიძლება გულგრილათ წაიკითხოთ ნარკვევი, მოთხრობა ან პოემა გლეხზე, რომელსაც გუთანთანა სძარცვავენ? მუშაზე, რომელსაც დაზგასთან ყვლეფენ.

ქართველ ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს დუმილი აქვს დაკისრებული. ბოლშევიკებმა თავიანთ ულმობელ მარწუხებში მოაქციეს მხატვრული ლიტერატურა, დაუქვემდებარეს უვიცებს, დააქვეითეს, შეჰკრეს და შეზღუდეს. ვისაც მწერლობა სურს მან პირველად ქება უნდა ისწავლოს, ალტაცებისა და თაყვანისცემის გამოთქმა. მან უნდა აქოს ყველა ბოლშევიკი დაწყებული ქარხნის წითელი დირექტორით და გათავებული კრემლის «ჭკვიანი, დიდი, უტეხი, მუხის სადარი» მბრძანებელით. უპარტიოებიდან შეიძლება აქოთ ზეთის ჩასასხმელი ჭურჭლები მანქანებზე და ელექტრონის ლოკომოტივები.

ხუთმა მძიმე და მშიერმა წელმა საგრძნობლად დააჩლუნგა მწერლის ფანტაზია. როგორაც უსინდისოც არ უნდა გაათახსიროს მწერალი აქაურ პირობებმა, შეუძლებელია სინამდვილემ მცირეოდენი გავლენა მაინც არ მოახდინოს მის შემოქმედებაზე. ამ გავლენის ბრალი იყო, რომ აქა იქ სტრიქონებს შუა, ბოლშევიკებისთვის მიუღებელი და მამხილებელი აზრები გაიპარებოდენ, რაიცა მაშინვე კლასობრივი მტრის შემოტევათ იქნა მიჩნეული მხატვრულ ლიტერატურაში. კეთილსინდისიერების ხმა სტალინის «ბრძნული» ციტატებით ჩაჰკლეს. რის შემდეგაც მთელი რიგი წლების მანძილზე საბჭოთა ლიტერატურა არაფერს შესანიშნავს და მნიშვნელოვანს არ

იძლეოდა, განსაკუთრებით საქართველოში. ემილ ზოლა ამბობდა, მწერალს მარტო წარმოდგენა არაფერს უშველის, შთაბეჭდილებაც დიდათ ესაჭიროებაო, ჩვენ მწერლებს კი ცოცხალი მაგალითებით სარგებლობა და ნამდვილი შთაბეჭდილების გადმოცემა აღკვეთილი აქვთ. ქართველი მწერალი თემას შემოქმედებისათვის რაიკომის დერეფნებში იღებს აგიტპროპის გამგეებისგან. ამის გამო ლიტერატურა და ხელოვნება უბრალო აგიტკად გადაიქცა. ბევრი ჭკვიანი კომუნისტი კრიტიკოსი სირცხვილით ორჯერ მაინც წითლდება; პირველათ იძულებით, «იდეოლოგიურ ნათლობის» დროს, ხოლო მეორეთ სრულიად გულწრფელად და ბუნებრივათ. მათ დღის წესრიგში დასვეს ბრძოლა სიტყვის მაღალი კულტურის ათვისებისათვის და წინად ათვალისწინებულ კლასიკოსების გამოცდილებით სარგებლობა. მაგრამ რა თქმა უნდა ბალზაკის შესწავლა სტალინის «ლენინის საკითხების» მიხედვით უნდა სწარმოებდეს.

ქართველ მწერლების უმეტესობა დღეს ბევრს არა ფიქრობენ თავიანთ ნაწარმოების მხატვრულ სრულყოფაზე. მათი უმთავრესი მიზანია კეთილი და უზრუნველი ცხოვრება. თუ წინაპრები თავიანთ ქვეყანას წმ. ანნას ჯვარს და მბრწყინავ ვარსკვლავს ანაცვალებდენ, შთამომავალნი იძულებულნი არიან მომარაგების გაძლიერებული ბარათით დაკმაყოფილდენ.

მიხეილ ჯავახიშვილმა ოქტომბრის რევოლიუცია საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ გამანთავისუფლებლათ აღიარა; ეს, დარბაისელი რომანისტი არ მოერიდა წარსულის გაყალბებას და შეგინებას, მენშევიკების დროს ქართული კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება და თვით ენა ირღვეოდა, იშლებოდა და ქვეითდებოდა, ეხლა კი ისინი მკვიდრ საფუძველზე დგანანო, წარბშეუხრელად განაცხადა მან. ამ განცხადებამ დააჩქარა მისი ახალი რომანის «არსენა მარაბდელის» გამოცემა, ხოლო, «იზვესტიას» რედაქციისაგან (სხვებთან ერთად) 10.000 მან. მიღება რუსეთში სამოგზაუროთ. სული მწარეა: მიხ. ჯავახიშვილს არ უნდა წვითა და დაგვით მოპოვებული მკითხველი დაჰკარგოს და ხელ-ახლა ჩაუჯდეს ბუხჰალტერიის მოსაწყენ დავთრებს... ოპოზიციონურათ განწყობილმა კ. გამსახურდიამ კალმის ერთი მოსმით სტალინი «ადამიანის სულის რეფორმატორად გამოაცხადა» რათა თავისი მეძებარი ძაღლები სიმშილისაგან დაეცვა, ხოლო საკუთარი თავი გერმანულ ენის მოსაბეზრებელ მასწავლებლობისაგან. დანარჩენნი: ტაბიძეები, ქუჩიშვილი, თუხაძე, გაფრინდაშვილი, «პროლეტარულ მწერლების» ძველი და ახალი კადრები და ცისფერი ყანწების მთელი ძმობა, ბოლშევიკებისათვის ხოტბის შესხმაში გაიწვრთნენ და გამოიცადენ.

ქართველ კომუნისტების მეცხრე ყრილობის დღეებში, თითქმის ყველა პოეტმა გამოაქვეყნა ლექსი სტალინზე. ტ. ტაბიძემ (ყველას დაასწრო), ნ. მიწიშვილმა, ს. შანშიაშვილმა, პ. იაშვილმა, კ. ჭიჭინაძემ, ი. მოსაშვილმა, გ. ლეონიძემ, ს. ეულმა, შ. აფხაიძემ, ზომლეთელმა და სხვ. თავიანთ ლექსებში ცამდე აიყვანეს სიმშილისა და სილატაკის ორგანიზატორი, ისინი დათვრენ განდიდებულ სემინარიელის და მართლმადიდებელ ბოლშევიკის დიდებით და მის სისხლიან საქმეს პოეტური ჯიღა დაადვეს; ჩვენ ყოველთვის იდუმალი ტკივილით ვკითხულობდით გრიგოლ ორბელიანის «ნიკოლოზ I»-ს და ყოველთვის მძაფრი გულის ტკივილით წავიკითხავთ შიშისა თუ წითელი ვერცხლის გავლენით დაწერილ «სტალინს», რომლის ქვეშ თითქმის ყველა ქართველ პოეტს უწერია ხელი.

ჩვენ სირცხვილის გრძნობით მოვიყვანთ ამ ლექსების ზოგიერთ ნიმუშებს. მაგ. ნ. მიწიშვილი ლექსში: «სტალინ» სწერს: «შენ ბეჭზე გაზის ქალდეიას თეთრი არწივი». რუსეთის ხალხს ძველთაგან თეთრი თუ შავი არწივები ჰკორტნიან, მისი ბასრი ბრჭყალები პატარა ერებსაც სჯიჯგნის და უფრო მტკივნეულადაც; ამას წინად გაკვირვებას გამოთქვამდენ იმის გამო, რომ უაღრესად კაპიტალისტურ ქვეყნის პრეზიდენტმა და უაღრესად «სოციალისტურ» ქვეყნის კომისარმა ერთმანეთს «ჩემო ძვირფასო მეგობაროთი» მიმართეს. მაგრამ დრო არის გაკვირვება მოიშალონ იმ ქვეყანაში, სადაც მკვდარი ბელადი ეგვიპტეს მუმიათ არის შენახული, ხოლო ცოცხალს პოეტები ბეჭს თეთრი არწივებით უმკობენ. ს. შანშიაშვილი ლექსში: «იოსებ სტალინს» ერთ ადგილას ამბობს: «მან ჩაგრულებს თვალთაგან ცრემლი მოსწმინდაო». მიწიშვილი სახელგამის ყველაზე ღრმა და რბილ სავარძელში განისვენებს, მაგრამ შანშიაშვილი კახელია, თავის სოფელში ის ხშირად დაიარებოდა, გამწარებული და აღრენილი, წისქვილის ჩამორთმევის თაობაზე; ფრიად საეჭვოა მას არ ენახოს კახეთის აწიოკებული და აბღავლებული სოფლები, თვალცრემლიანნი, ქოხებიდან გამორეკილი დედაკაცები და ბავშვები, ჯარის ნაწილებით და ტყვიამფრქვევებით გარშემორტყმულნი, ან ქვებითა და ჯოხებით შეიარაღებული გლეხები, ტყეში გავარდნილი ახალი კაკო ყაჩაღები. მას უნახავს ცრემლიცა და დანთხეული სისხლიც, მაგრამ არ შერცხვა თავის ლექსში ყურით მოეთრია ასეთი სტრიქონი: «შენ ჩაგრულებს მოსწმინდე ცრემლი». პაოლო იაშვილი ფიქრობს, რომ ეხლა ოქროთი აგებენ ფეხის ალაგებს. ნუ თუ მართლა? ჩვენ კი გვგონია, რომ ის თავის ლექსებს საზიზღარი და უსირცხვილო სტრიქონებით აგებს. ლექსში: «სტალინ» იგი წარბშეუხრელად მიმართავს დესპოტს: «პატარა ერის მეგობარო», «პატარა ერის გამოზდილო ვაჟკაცო სტალინ!» კომენტარი ზედმეტია. ი. მოსაშვილი სთხზავს: «სტალინ, მღერიან». ამ ქებათა ქებაში პოეტი ამბობს: «სალამურები შენზე მღერიანო». ჩვენ პირადათ, მრავალგზის მოგვისმენია გლეხებისა და მეცხვარეების მიერ სალამურებზე დაკრული სიმღერები დიდ-ლილოელ მწვალებელზე, მაგრამ ისეთი შინაარსისაა, რომ არამც თუ მათი დაბეჭდვა შეუძლებელია, არამედ მათი ი. მოსაშვილისთანა პოეტებში წარმოთქმაც კი ავტორებს თავისუფლებას დაუკარგავდა. კ. ჭიჭინაძე კავკასიონი—ავენტინის სახელით ამკობს სტალინს. «სტალინ—მღერიან ქვანი და წყალნი. სტალინ იტყვიან მთები სიმღერას». ეს ხელზე საგოგმანებელი სიტყვები ვინმე შ. აფხაიძეს ეკუთვნის. გიორგი ლეონიძე, საიათნოვას მუხამბაზური ჰანგით და საკუთარი უტიფრობის მოძახილით მღერის: «თქვენ პირველად გასინჯეთ, გლეხს, ბოგანოს—დემოს, თავის მიწის სინოყივრე, რძის სიმსუქნის გამო, თქვენ სტალინი მოგიძღვებათ, თქვენ არ ივლით მრუდეთ»... ოჰ, რომ ალაპარაკდენ გლეხები, მინდვრები, რძის-კარდალები, პურის ბეღლები, ღვინის მარნები...

როცა ბონაპარტე დესპოტად იქცა ბეთჰოვენმა აშფოთებით დახია თავისი მუსიკალური მიძღვნა რესპუბლიკის ახალგაზდა მხედრისადმი.

ქალბატონი სტალი ყოველთვის ზიზღითა და უარით უპასუხებდა ნაპოლეონის მიერ მოგზავნილ დესპანების გადაკრულ მომართვებს ერთი ქების დაწერით «რომის იმპერატორზე» (ისინი ნაპ. გულისხმობდე) ეყიდა საფრანგეთში დარჩენის უფლება.

ბოლშევიკების ქართველ კარის მწერლებს კი ერთი ნამცეცი სიამაყე და ადამიანური ღირსების დაცვის უნარი არ გააჩნიათ.

ყველა მსახურს შეუძლიან ისე ემსახუროს თავის ბატონს, როგორც სურს და ეხერხება. ქართველი «მოწითალო» მწერლებიც ღირსეულად ემსახურებიან დესპოტიას. მაგრამ ნუ თუ ისინი ფიქრობენ, რომ დრო წაშლის მათ უღირს საქმეს? დრო ბევრ რამეს ივიწყებს, მაგრამ ამავე დროს იგი მომავალს ენას აძლევს და როცა ის ალაპარაკდება, მშიშარა ფინიებათ იქნებიან დასახულნი ისინი, ვისაც დღეს თავი პოლიტიკურ პოეზიის ლომებათ მოაქვთ.

2. განთავისუფლებული მეტეხი.

გასული წლის 18 ნოემბერს, მეტეხის ციხის კომენდანტმა საპყრობილის გასაღები გადასცა ე. წ. «განათლების კომისარს» (უფრო სწორათ რომ ვთქვათ ბუბნოვის მეშვიდე თუ მერვე მდივანს საქართველოს «რესპუბლიკაში»), რომელმაც სადღესასწაულო აქტზე შეკრებილთა წინაშე ეს გასაღებები თავის მხრივ გადაულოცა ხელოვანთა მუზეუმის დირექტორს შევარდნაძეს.

როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ეს ამბავი ბოლშევიკებმა მორიგ აგიტაციისთვის გამოიყენეს. ადგილობრივმა გაზეთებმა მთელი რიგი წერილები უძღვნეს მეტეხის ციხის ხელოვანთა მუზეუმათ გადაქცევას. წერილებზე, ლექსებზე და ნარკვევებზე ხელი მოაწერინეს საბოლაოდ მოქცეულ მუხლზე მხოხავებს: მეცნიერების, მწერლების, მხატვრების და აქტიორების წრეებიდან. ბოლშევიკებმა დაკვეთით იყიდეს აღტაცების ღმუილი, ეს აფრთოვანება მოწითალო მელნით გასვრილ ინტელიგენტებმა დამშვიდებით და სინიდისის ქენჯნის გარეშე გაჰყიდეს, არა მარტო მომარაგების სპეციალურ კომისარიატის ქვითარზე თეთრი პურისა და ხორცის მისაღებათ, არამედ იმ განზრახვითაც, რომ მისწრაფებათა კიბეზე ერთი საფეხურით ამაღლებულიყვნენ და სისხლიანი ბატონების ყურადღება და ნდობა დაემსახურებინათ.

ამ გაქირავებულ «კალმისა და სიტყვის ოსტატებმა» ერთგვარის კრძალვით გამოიარეს მეტეხის ციხის ჭიშკრები. ისინი ოდნავ დაბნეულნი იყვნენ. შეიძლება იმიტომ, რომ პირველად ხედავდენ ციხეს შიგნიდან, ან იმისთვის, რომ შიშობდენ არ გადასდებოდათ საოფლე, რომელიც ცხრა თვის განმავლობაში მძვინვარებდა და მრავალი ტუსაღის სიცოცხლე იმსხვერპლა.

მეტეხის ციხის მდუმარე და ბნელ საკნების კედლებს ამიერიდან მხატვრული სურათები შეამკობენ. იმ საკანში, სადაც რუსების შემოსევის შემდეგ იჯდა ამხ. ვასო ცაბაძე, დაიდგმება სტალინის ქვის თავი,—იმ სტალინისა, რომელიც ვასომ მუშათა მოძრაობაში ჩააბა და შემდეგ კი «მოწაფის» ბრძანებით თვით მაწავლებელი იქნა დახვრეტილი.

მეტეხის ციხის ჭიშკრებთან ხიშტიანი წითელარმიელი აღარა სდგას. მაგრამ ამ ძველი და შემზარავი ციხის თვითეული აგურიც რომ მაქსიმ გორკისა და ანრი ბარბიუსის ნიჭით აღიჭურვონ და ხმამაღლა წარმოსთქვან კეთილის მყოფელ ბოლშევიკთა ქებანი, მაინც ვერ დაფარავენ იმ საშინელებას, რომელიც მის რკინის დარაბებით დაბნელებულ საკნებში ხდებოდა. ამ საკნებში იტანჯებოდა ყველა ის, ვისაც საკუთარი რწმენა და აზრი გააჩნდა, ვისაც ბოლშევიკურ დოგმებისაგან განსხვავებული მსოფლმხედველობა და მისწრაფება ჰქონდა, თავისუფლება სწყუროდა, თავის ქვეყნისა და ხალხისთვის იღწვოდა, მხნედ იბრძოდა შემოსეულ მტრის წინააღმდეგ და არ ემარჯვებოდა მონურად მოედრიკა თავი მტარვალების წინაშე. აქ, ამ საპყრობილეში ჩაკეტილნი იყვნენ ისინი, ვინც თვითმპყრობელობის დამხობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ; საქმე ის არის, რომ მათ ერთსა და იმავე «დანაშაულისთვის» სჯიდა ნიკოლოზი და სტალინი. აქ სწარმოებდა პოლიტიკურ პატიმართა არ გაგონილი შეურაცყოფა და დამცირება. აქ უფრო მეტის ლმობიერებით ქურდები და კაცის-მკვლელები სარგებლობდენ (ამნისტიები ხომ უმთავრესათ მათთვის იწერება) ვიდრე პოლიტიკურნი.

მეტეხი ციხე აღარ არის! რა მწარე ირონიაა ამ სიტყვებში!

ბოლშევიკები გასაოცარი ოსტატები არიან პოლიტიკური რეკლამის. ტრაქტორები, ფაბრიკები, ჰიდრო ცენტრალები, გორკის იუბილე, ატომის დაშლა ხარკოვის ფიზიკის ინსტიტუტში, საბჭოთა პროფესორების «ბრწყინვალე» გამოსვლა ვარშავის ისტორიკოსთა კონგრესზე, სტრატოსფერაში გაფრენა, რუსეთ-საფრანგეთის მეგობრობა, ივანოვების, პილნიაკების და ერენბურგების რომანები, მოსკოვის თეატრები, თეთრი ზღვის არხები, ენათმეცნიერ ნიკო მარის ლენინის ორდენით დაჯილდოვება, ბამბის კრეფის გეგმის შესრულება, წითელი დაფები, კარაკუმისის ავტო-გადარბენა, მოსავალის მარცვლის დაუკარგავათ აღება, ყინულის მჭრელი გემები და დაუსრულებელი ფანტასტიური რიგი ციფრებისა. რაზედ გაჰყვირიან თავიანთ გაზეთებიდან ბოლშევიკები. ყველაფერი ეს გამოყენებულია იმ ნგრევის დასაფარავად, რომელიც დღითი დღე ფართოვდება და კატასტროფიულ ხასიათს ღებულობს. ეს ნაცადი საშუალებაა იმ კრიზისის მისაჩქმალათ, რომლითაც დღეს მთელი საბჭოთა სამეფო მოცულია. ამით სურთ დამალონ ქალაქებში და სოფლებში მძვინვარე სიმშილი.

რა თქმა უნდა მეტეხის ციხის ხელოვნების მუზეუმათ გადაქცევაც მორიგი საგიტაციო მასალა იქნება არა მარტო სულიან-ხორციანათ ნაყიდ ქუჩიშვილებისა და ტაბიძეების სამუზეუმო შემოქმედებისათვის, არამედ ახალ რუსეთის მეგობართა საზოგადოების წევრებისთვისაც. ეს უკანასკნელნი შეეცდებიან შეცდომაში შეიყვანონ ევროპის საზოგადოებრივი აზრი, აღფრთოვანებით აღნიშნავენ ამ ისტორიულ ფაქტს, ილაპარაკებენ საქართველოში არსებულ «სიწყნარეზე», მშენებლობაზე, გლეხების და მუშების თავისუფალ რესპუბლიკაზე, რომ თანაგრძნობა მოუპოვონ ოკუპანტ მოსკოვს და სახელი გაუტეხონ საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს დამოუკიდებლობის სადარაჯოზე მდგარ ორგანიზაციებს.

მეტეხი ციხე აღარ არის. მაგრამ რა დავარქვათ იმ ჟრუანტელის მომგვრელ «მკვდარ სახლს» რუსთველის ხეივანში რომ აშენდა, ყოფილ პირველ გიმნაზიის გვერდით? იქნებ იგი ექსპერიმენტალური ინსტიტუტია ან მუზეუმი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა წამებაზე დაკვირვების მოსახდენათ? ტფილისის ცენტრში აშენდა ახალი საპყრობილე, რომელსაც თან დაატანეს უზარმაზარი სარდაფები, ჯურღმულები და საწამებელი საკნები; ამ საპყრობილის შესახებ ბოლშევიკები სდუმან. მას არ უჩვენებენ არც უცხოეთის დელეგაციებს, არც თავისიანებს. ბ-ნი კაშენი მას ახლოსაც არ გააკარეს. სამაგიეროთ მას რკინის-გზის აგენტებმა პლეხანოვის კლუბში ოვაცია მოუწყვეს, ხელებით მაღლა ასწიეს და ასე აწეული მიაცილეს ავტომობილამდე. ამ კაცს არ შერცხვა ჩვეულებრივი ბოლშევიკური ბრახა-ბრუხით გამოსულიყო სიმშილისაგან გამხდარ და სილატაკისაგან ჩამოგლეჯილ რკინის-გზელ მუშების წინაშე (მას ალბათ სტალინის უფრო მეტი სწამს, ვიდრე საკუთარი თვალების).

აქ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მზაკვრული მოვლენა. ტფილისიდან თითქმის ყოველდღე ეტაპი ეტაპზე მიდის, ხდება ადგილობრივ ციხეების განტვირთვა. აუარებელ ტუსაღებს ასახლებენ მორეულ ჩრდილოეთში დიდ სამუშაოების შესასრულებლათ, როგორიც არის არხების გათხრა, შეშის მოჭრა, მაღაროებში მუშაობა და სხვა. ტუსაღის შრომას დაუზოგველად იყენებენ, მცირეოდენი გასამრჯელოს გარეშე. ეს ნაყოფიერია და ხელსაყრელიც. ეს გარემოება გეპეუმ კარგად იცის თეთრი ზღვის არხის მშენებლობის გამოცდილებიდან. ყოველივე ამის შემდეგ ბოლშევიკებს ყოფნით გამბედაობა უარყონ იძულებითი შრომის არსებობა «სოციალიზმის ბრწყინალე გამარჯვებებით მომაღლებელ ქვეყანაში».

მეტეხი ციხე აღარ არის, მაგრამ მთელი ქვეყანა ხომ ვებერთელა სატუსაღოთ არის გადაქცეული? ტუსაღია ის ვისაც უფლება აყრილი აქვს, ვინც თავის თავს არ ეკუთვნის, ვინც განუწყვეტელ მეთვალყურეობისა და დევნის ქვეშ იმყოფება, ვისაც წართმეული აქვს აზროვნების უფლება, სიტყვისა და კრების თავისუფლება. რით შეგვიძლიან გასაზღვროთ საბჭოთა მოქალაქის უფლებები? არაფრით—«ყველა თანასწორია უუფლებობაში», ყველა უფლება აყრილია.

მეტეხის ციხის ხელოვნების მუზეუმათ გადაქცევას აქვს თავისებური სიმბოლიური მნიშვნელობა. თვით ქართული ხელოვნება შეზღუდულია, შევიწროებული, ფრთებ დაჭრილი და მის ნიმუშებს ეხლა შესაფერი ადგილი მოუძებნეს; ქართული ლიტერატურა და ხელოვნება დღეს მოსკოვის ხელოვნების ორგანიზაციების უბრალო ფილიალს წარმოადგენს. «ეს მენშევიკური ცილისწამება არისო», იტყვის კომერციული პურით გამაძღარი პოეტი, რომელსაც კრემლი სოციალისტურ კულტურის მერიდიანათ მიუჩნევია (ტაბიძე). სტალინი ადამიანის სულის რეფორმატორად (გამსახურდია), ხოლო კომუნისტური პარტია ძალითა და სიბრძნით გაჟღენთილ ორგანიზაციათ (მიწიშვილი). ეს უკაცრავად პასუხია «მწერლები» ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ქება მიუძღვნან თავიანთ ერის დამპყრობელებს. და თუ მათ დოკუმენტები ნებავთ, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ სიტყვების დასადასტურებლათ, ჩვენ მათ მიუთითებთ უპირველეს ყოვლისა მათ საკუთარ ხელისმოწერაზე მოსკოვის მწერალთა ორგკომიტეტის ცირკულიარებზე. ქართული ლიტერატურის ბედი მათ გრონსკისა და მის ამქარს გადასცეს და ქართული ლიტერატურის თავისებურება და ტრადიცია პერიოდულ გამოცემებშიც კი აღკვეთეს. ქართული პრესა უბრალო და ტლანქი თარგმანია რუსულისა, არა მარტო შინაარსის, გარეგნობის მხრივაც კი. ასე მაგალითად, მოსკოვში გამოდის «ლიტ. გაზეტა», აქ «სალიტ. გაზეთი»; «სოვეტსკოე ისკუსტვო», აქ «საბჭოთა ხელოვნება»; «ზვეზდა», აქ «მნათობი» (ორივე დიდ-ტანიანი ყოველთვიური ჟურნალია). იუმორიც კი რუსულით ნათარგმნია ჩვენს დროში: იქ «კროკოდილი», აქ «ნიანგი»; იქ «ლიტერატურნოე ნასლედსტვო»; აქ «ლიტერატურული მემკვიდრეობა» და სხვა. ხოლო თეატრებისთვის უკვე ჩვეულებათ და კანონად იქცა რუსული რეპერტუარის უპირატესობა და გამოყენება.

დეე, დღეს ქართული ლიტერატურა და ხელოვნება მეტეხის ციხეში იყოს მოთავსებული!

ქართული ხელოვნება ქართველ ხალხთან ერთად განთავისუფლდება და აღსდგება. ის დიდი ტანჯვა ამ ცამეტი წლის განმავლობაში რომ გამოვიარეთ, ჩვენი დიდი ნაღველი და რწმენისთვის თავდადება, შემოქმედების უდიდეს იმპულსად გადაიქცევა და არა მარტო ბნელ წარსულს მოჰფენს ნათელს, არამედ მომავლის გზებსაც გაგვინათებს.

გაგი.

საქ. სოც.-დემ. მ. პარ. უცხოეთში მყოფ ორგანიზაციების კონფერენცია

მიმდინარე წლის 21 აპრილს პარიზში გაიხსნა ჩვენი პარტიის უცხოეთში მყოფ ორგანიზაციების კონფერენცია, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა.

კონფერენციის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულმა პარტიის ლიდერმა ნ. ჟორდანიამ მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა კონფერენციას და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა.

მისივე წინადადებით კონფერენციამ სალამი გაუგზავნა განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაბმულ ქართველ ერს, გადასახლებაში მყოფთ და ჩეკის ციხესარდაფებში გამომწყვდეულ მებრძოლ გმირთ და ჩვენს მეგობარ უცხოელ სოციალისტებს, რის შემდეგ მოისმინა მომწვევ კომისიის მოხსენება. უცხოეთში არსებობს ჩვენი პარტიის ხუთი ორგანიზაცია: პარიზის, სოშოს, გერმანიის, პრაღის და სპარსეთის; ეს ორგანიზაციები წარმოდგენილი იყვენ კონფერენციაზე 22 დელეგატით.

სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ კონფერენცია შეუდგა დღის წესრიგში დასმულ მოხსენებების მოსმენას. მოსმენილ იქმნა შემდეგი მოხსენებები:

1. მოხსენებები ადგილებიდან;
2. მოხსენება ბიუროს საერთო მუშაობის შესახებ;
3. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველოს საკითხი;
4. სოციალისტური ინტერნაციონალი;
5. ეროვნული ცენტრი;
6. დამოკიდებულება მეზობელ ერებთან;
7. შინაპარტიული მდგომარეობა უცხოეთში.
8. სამანდატო კომისიის მოხსენება.

მოსმენილ მოხსენებებმა გამოიწვია გაცხოველებული კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო დელეგატების დიდმა უმრავლესობამ და სტუმრად მოწვეულმა ამხანაგებმაც (კონფერენციის კარები ღია იყო ყველა პარტიულ ამხანაგებისათვის). კამათის დასრულების შემდეგ კონფერენციამ მიიღო სარედაქციო კომისიის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუციები და მიმართვა ქართველ ახალგაზდობისადმი უცხოეთში, რომელნიც აქვე ქვეყნდება.

კონფერენციას უნდა განეხილა აგრეთვე პარტიის პროგრამის საკითხი, მაგრამ ვინაიდან მას, ერთი მხრით, არ დარჩა საკმარისი დრო, ხოლო მეორე მხრით, ამ საკითხის გადაჭრა ეკუთვნის პარტიას საქართველოში და ის სავსებით მის კომპეტენციაში შედის, კონფერენციამ შესაძლებლათ იცნა მისი გადადება; მით უმეტეს, რომ კონფერენციაზე პროგრამის პროექტზე დისკუსიის მიზანი იყო ამ საგანზე უცხოეთში მყოფ ამხანაგების აზრის მიწოდება საქართველოში; ეს კი რამოდენიმეთ შესრულებულ იქნა პრესის საშვალებით და შესრულებულ იქნება აგრეთვე უცხოეთის ორგანიზაციებში ამ საკითხის გამო აზრთა გაცვლა-გამოცვლით.

დასასრულ კონფერენციამ შეადგინა მომავალ ბიუროს კანდიდატთა სარეკომენდაციო სია. ეს უკანასკნელი რეზოლიუციებთან ერთად ეგზავნება პარტიის ცენტრალურ კომიტეტს განსახილველათ.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კონფერენციას ახასიათებდა იშვიათი ერთსულოვნება.

პარტიისადმი მისალმება.

კონფერენცია მიმართავს ამხანაგური სალამით საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიას, შეუდრეკელ და თავდადებულ მებრძოლს ერის დასაცავათ მოსკოვის ბარბაროსული რეჟიმისაგან. კონფერენცია გამოსთქვამს თავის აღტაცებას იმ თავდადებულ ამხანაგებისადმი, რომელნიც ჯოჯოხეთურ პოლიციურ და ეკონომიურ პირობებში ახერხებენ მაღლა ატარონ პარტიის ნაციონალური და სოციალურ-პოლიტიკური დროშა. კონფერენცია არწმუნებს პარტიას, რომ საზღვარგარეთ არსებული სოც.-დემ. ორგანიზაციები, პარტიული მუშაობის ხელმძღვანელ ორგანოს, ბიუროს გარეშემო თავმოყრილი, მხარში უდგანან მას და რჩებიან მასთან ჭირში და ლხინში განუყრელი.

დატყვევებულ ამხანაგებს.

კონფერენცია მიესალმება სამშობლოდან გაძევებულ ამხანაგებს, ციხეებში გამომწყვდეულთ, რუსეთის შორეულ კუთხეებში გადასახლებულთ, მოწყვეტილთ თავის ხალხისგან, პარტიისგან, ყოველგვარი პოლიტიკურ საზოგადოებრივ აქტივობისგან. კონფერენცია უსურვებს ამ თავდადებულ ამხანაგებს ჭირსა შიგან გამაგრებას და გამარჯვებულ სამშობლოში დაბრუნებას.

ბიუროს შესახებ.

კონფერენციამ, მოისმინა რა ბიუროს მუშაობის მოხსენება, კმაყოფილებით აღნიშნავს მის ცამეტი წლის ნაყოფიერ მოღვაწეობას პოლიტიკური აქტიობის ყველა სფეროში და უსურვებს მას განაგრძოს პარტიის და ერის საკეთილდღეოთ თავისი დაუღალავი მრავალფეროვანი საქმიანობა.

ინტერნაციონალი.

კონფერენციამ მოისმინა რა ინტერნაციონალში ჩვენი წარმომადგენლის ამხ. კ. გვარჯალაძის მოხსენება ინტერნაციონალში ჩვენი მუშაობის და საერთოთ ინტერნაციონალის მოქმედების შესახებ,ადგენს:

1. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდანვე სოციალისტურ ინტ-მა ენერგიული დახმარება გაუწია მის პოპულიარიზაციას ევროპის სხვადასხვა წრეებში და დიდათ შეუწყო ხელი მის ფაქტიურ და იურიდიულ ცნობას ევროპის სახელმწიფოების მიერ. ჩვენი დაცემის შემდეგ მან გასწია ფართე აგიტაცია მთელ ევროპაში მოსკოვის შემოსევის წინააღმდეგ, და მთელი რიგი რეზოლიუციებით ითხოვდა საქართველოს ოკუპაციის მოხსნას. მისი წარმომადგენლები მუდამ გამოდიოდენ ერთა ლიგაში ჩვენი უფლებების დასაცავათ და იღებდენ მხურვალე მონაწილეობას, ხშირათ თაოსნობასაც, ერთა ლიგის მიერ ჩვენ სასარგებლოთ რეზოლიუციების მისაღებათ.

სოციალისტური ინტერნაციონალი დგას ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე და მუდამ დარჩება ჩაგრულ ერთა მომხრე და დამცველი.

2. სოციალ-პოლიტიკურ სფეროში ინტერნაციონალის მუშაობამ ვერ გამოიღო მოსალოდნელი ნაყოფი. მთელ რიგ ქვეყნებში მისი სექციები განადგურებულ იქნა რეაქციის მიერ. ასეთი დასუსტება ინტერნაციონალისა აიხსნება შემდეგი მიზეზებით: ერთი მხრით, ცენტრალურ ევროპაში მომხდარ რევოლიუციებმა ვერ შეიტანეს ვერავითარი ცვლილება ერის სოციალურ სტრუქტურაში, განსაკუთრებით მიწათ-მფლობელობის სფეროში. მეორე მხრით, მისმა შემცდარმა ხაზმა ბოლშევიზმის შეფასებაში და მნიშვნელობაში დააშინა და გადაყარა საშუალო კლასები ეგრეთ წოდებულ ანტიმარქსისტულ ბლოკში, სადაც აღარ ანსხვავებენ სოციალისტს კომუნისტისაგან. მესამედ, სოციალისტურ პარტიების მიერ მთავრობაში მონაწილეობამ თუ ბურჟუაზიულ მთავრობების მხარის დაჭერამ ვერ გაამართლა ფართე მასების იმედები, რამაც ამ მასების თვალში სახელი გაუტეხა სოციალიზმს.

სოციალისტური ინტერნაციონალი, როგორც მთლიანი ორგანიზაცია არ ერეოდა თავის სექციების მუშაობაში, ის არ უწევდა მათ საჭირო ხელმძღვანელობას და მათი დაუძლურების და ნგრევის წინაშე კმაყოფილდებოდა გარეშე მაყურებელის როლით.

საბედნიეროთ დასავლეთ და ჩრდილო ევროპაში სოციალისტური პარტიები ძველებურათ მტკიცეთ დგანან თავის პოზიციებზე და აფართოებენ კიდეც თავის გავლენას.

ეროვნული ბრძოლის პრინციპები.

კონფერენცია მიაქცევს ამხანაგების განსაკუთრებულ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ბრძოლა ნაციონალური და სოციალურ-პოლიტიკური ვითარდებიან სხვადასხვა ხაზებით და ემორჩილებიან სხვადასხვა პრინციპებს.

ეროვნული ბრძოლის მიზანია ერის განთავისუფლება უცხოელთა უღლისაგან, ხოლო სოციალურ პოლიტიკური ბრძოლის მიზანია ერის შინაგანი ცხოვრების აწყობა და შიგნით ამა თუ იმ რეჟიმის დამყარება.

ეროვნული მოძრაობა გულისხმობს არსებობას დამჩაგვრელი იმპერიალისტური ძალაუფლების, ხოლო ასეთი იმპერიალიზმი შეკავშირებულია გაბატონებულ ნაციის ყოველგვარ რეჟიმთან, არის ის აბსოლიუტური, დემოკრატიული, ფაშისტური თუ სხვა. ამიტომ სოციალიზმი, უჭერს რა მხარს გადაჭრით ნაციის თვითგამორკვევას და თავისუფლებას, არასოდეს არ აბამს ნაციონალურ მოძრაობას გაბატონებული ერის რეჟიმის საკითხთან. პირიქით, სოც. ინტერნაციონალის ყველა კონგრესის დადგენილებები ამ საგანზე მოითხოვენ დაჩაგრულ ერთა თვითგამორკვევას ყველა რეჟიმისაგან.

კონფერენცია, იღებს რა ყველა ამ მოსაზრებებს მხედველობაში, მოუწოდებს საზღვარ გარეთელ ამხანაგებს შეუდრეკლათ გაატარონ ჩვენი პარტიის დადგენილებანი ამ საგანზე.

პარტიებთან დამოკიდებულება.

კონფერენცია აღიარებს:

1. პარტიის მუშაობის პირველ რიგში დგას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

2. ამ დროშის ქვეშ მუშაობენ საქართველოს სხვა პოლიტიკური პარტიებიც.

3. ეს საერთო მიზანი ბუნებრივათ აახლოვებს და აკავშირებს სხვადასხვა პარტიებს სამშობლოს დაცვის ნიადაგზე.

გამოდის რა ამ მოსაზრებიდან, კონფერენციას მიაჩნია მიზანშეწონილათ პარტიათა შორის კოალიცია და მათგან ერთი მომქმედი ანტიბოლშევიკური ბლოკის შედგენა.

ასეთი კოალიციის პირობათ კონფერენცია თვლის: ა) კოალიციის მონაწილეთა შორის პოლიტიკური ზავის ჩამოგდებას და ურთიერთ თავდაუსხმელობას; ბ) თვითოეულ მონაწილე პარტიას რჩება თავისუფლება თავისი პარტიული დოქტრინა და პროგრამა იქადაგოს სიტყვით თუ წერით პირველი მუხლის დაცვით; გ) პარტიათა შორის ნამდვილი და გულწრფელი კოალიცია შესაძლებელია საერთო ძირითად პოლიტიკურ ნიადაგზე. ეს ნიადაგი შეიცავს ორ მომენტს: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა და ერის სუვერენობასთან ერთათ ხალხის სუვერენობის განმტკიცება.

კონფერენცია ავალებს ჩვენს პარტიულ ხელმძღვანელობას უცხოეთში მიიღოს ენერგიული ზომები, რათა პარტიათა კოალიცია წარმოადგენდეს ნამდვილს, ფაქტიურათ მტკიცე საერთო ფრონტს, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც.

ნაციონალური მთავრობა.

საქართველოს ნაციონალური მთავრობა უცხოეთში გადმოხვეწილი და თავის ქვეყნისთვის მომუშავე წარმოადგენს ერთს იშვიათ მოვლენას ხალხთა ისტორიაში. არც ერთს დაჩაგრულ და დაპყრობილ ხალხებს არ შერჩენიათ დიდხანს თავისი დამოუკიდებლობის იურიდიული გამოხატულება, თავისი ნაციონალური ხელისუფლება, რომელსაც შესძლებოდა ხანგრძლივათ წარმოდგენა თავისი სამშობლოსი უცხოეთში და თავის უკან დარაზმვა თავის ერის. ერთ ასეთ იშვიათ მოვლენას წარმოადგენს საქართველოს ნაციონალური მთავრობა და მისი ვალია თავისი ისტორიული დანიშნულება და დამფუძნებელი კრების მიერ მისთვის მიცემული დირექტივა ბოლომდე შეასრულოს.

კონფერენცია გამოსთქვამს იმედს, რომ ის დარჩება თავის პოსტზე მედგრათ და ურყევათ.

ქართველ ახალგაზრდობას უცხოეთში.

ქართველი ახალგაზრდობის მუშაობის და ფიქრის ცენტრში სდგას დღეს ორი საკითხი: საქართველოს განთავისუფლება და განთავისუფლებული საქართველოს შინაური ცხოვრების აწყობა.

ეს ნაციონალური და სოციალურ-პოლიტიკური მომენტები მოითხოვენ ჩვენი ახალთაობის განსაკუთრებით ყურადღებას და საფუძვლიანათ დამუშავებას. ჩვენ მივმართავთ მათ პარტიის და მდგომარეობის განურჩევლათ ჩაუფიქრდენ და ასწონდასწონონ შემდეგი ჩვენი მოსაზრებანი ამ ჩვენ საჭირბოროტო საკითხებზე.

1. ნაციონალური მომენტი.

საქართველოს განთავისუფლება მოსკოვის ოკუპაციისაგან და მისი დამოუკიდებლობის აღდგენა შეადგენს ჩვენი მიმდინარე პოლიტიკის მთავარ ამოცანას. ამ დიდი მიზნის მიღწევა შესაძლებელია იმდენათ, რამდენათ ქართველი ხალხი და მისი მებრძოლი ორგანიზაციები გამოიჩენენ ერთსულოვანებას, დისციპლინას და საერთო ხაზზე ამუშავებას.

ნაციონალური მომენტი ქართველ ერს აერთებს; მისგან ქმნის ერთ მთლიან დაჯგუფებას, რომლის წიაღიდან განდევნილი უნდა იქნას ყოველნაირი შუღლი განხეთქილება და ურთიერთობის მიმართ მტრობა. ერთი დროშა ითხოვს ერთ ჯარს, ხოლო ჯარი ითხოვს შესაფერ ხელმძღვანელობას, გამოცდილ სარდლობას. მაშასადამე ქართველი ხალხის ერთათ დარაზმვა გარკვეული ხელმძღვანელობის მეთაურობით არის მთავარი პირობა დღევანდელ საერთაშორისო არევდარევის ქარცეცხლიდან მშვიდობიანათ გამოსასვლელათ და ერის და ქვეყნის სანატრელ ნავთსაყუდელში შესაყვანათ.

ქართველ მებრძოლ ერს ყავს თავისი პოლიტიკური ხელმძღვანელობა უცხოეთში გადმოხვეწილი სათანადო უფლებებით და ნდობით საქართველოდან აღჭურვილი. ყოველნაირი შინაური ბრძოლა, ჯგუფური დაყოფა, ერთი მეორის წინააღმდეგ გალაშქრება და დაქსაქსულობა ბუნებრივათ ასუსტებს ჩვენ ჩაერთო ფრონტს. შეაქვს განხეთქილება მებრძოლ ერში და მით გვაშორებს ჩვენს საერთო დროშას და საერთო ბრძოლას. ნამდვილი ქართველი პატრიოტების უწმინდესი მოვალეობაა თავისი რისხვა და ბრძოლა მიმართონ მხოლოთ და მხოლოთ მტრის წინააღმდეგ. შინაური თანხმობა აკეთებს ჩვენ საერთო საქმეს. შინაური განხეთქილება კი აკეთებს მტრის საქმეს.

აი ეს ძირითადი დებულება ჩვენი მოქმედების და ტაქტიკის ნაციონალურ სფეროში უნდა იყოს აღბეჭდილი დიდი ასოებით ყველა ანტისაბჭოთა პარტიის თუ ჯგუფის დროშაზე და მის ქვეშ წარმოებული განმათავისუფლებელი მოძრაობა. თვითეული ჯგუფი, რაზმი, თუ პარტია თავის თავს უნდა რაცხდეს ნაწილათ იმ დიდი ჯარის, რომელიც აწარმოებს საქართველოში, თუ უცხოეთში საქართველოს თავდაცვის საქმეს.

2. პოლიტიკურ-სოციალური მომენტი.

ეს მომენტი სავსებით გამომდინარეობს პირველისაგან და თავის განვითარებაში შეკავშირებულია მასთან. რაკი ქართველი ხალხი აწარმოებს განმათავისუფლებელ ბრძოლას, რაკი ის არის ამ ნაციონალურ სფეროში მთავარი ძალა და სუვერენი, არ შეიძლება ის ამავე დროს არ იყოს ბატონი და სუვერენი განთავისუფლებული საქართველოსი, მისი პოლიტიკური ბატონობა გამომდინარეობს მისი ნაციონალური ბატონობისაგან.

აი ეს ძირითადი ურყევი დებულება ნათელყოფს გზას და ხიდს ჩვენი შინაური ცხოვრების და ურთიერთობის აწყობის და მოწყობისა. თავისუფალ საქართველოში თავისუფალი ხალხი თავისუფლათ კაფავს თავის გზას და სჭედს თავის მომავალს. მაშასადამე დემოკრატია არის მიუცილებელი საფუძველი საქართველოს შინაური სახელმწიფო შენობისა. ამ პრინციპის უარისყოფა და მის ალაგას სხვა ანტიდემოკრატიული და ანტიხალხურის წამოყენება ბუნებრივათ ბადებს ხალხის სუვერენობის მოშლას ნაციონალურ ბრძოლაშიაც და ამით ჩვენი გამანთავისუფლებელი მოძრაობის დასამარებას. მაშასადამე საქართველოს შინაური რეჟიმის დამყარება დამოკიდებულია მხოლოთ და მხოლოთ საქართველოს ხალხის ნებაზე, რომლის წინაშე ყველა პარტია და ჯგუფი ქედს უნდა იხრიდეს. რასაკვირველია, ყველა პარტიას, თუ დაჯგუფებას უფლება აქვს თავისუფლათ წარსდგეს ამ უმაღლესი არეოპაგის წინაშე, გააცნოს მას თავისი შეხედულებანი, პროგრამები და გეგმები, მაგრამ ამათ შორის ამორჩევა, თუ სავსებით ახალის გამომუშავება არის საგანი თვით ამ უმაღლესი სამსჯავროსი.

აი ეს ორი ძირითადი დებულება, რომელიც გამოხატავენ საქართველოს ბრძოლის და მდგომარეობის ორ მომენტს უნდა გახდეს ურყევი და სახელმძღვანელო საქართველოს მთელი ახალი თაობის.

პოლიტიკური ემიგრაცია.

საქართველოდან გადმოხვეწილი პოლიტიკური ემიგრაცია ამ ბოლო ხანში კარგავს იმ აუცილებელ ერთობას და სიმტკიცეს. რაიცა მას ახასიათებდა მთელი ათეული წლის განმავლობაში. ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზია: ემიგრანტობის გახანგრძლივება, აქედან წარმომდგარი დაღლილობა და ამ ნიადაგზე აღმოცენებული ნაჩქარევი აზროვნება და ავთამყოფური სულისკვეთება. ამ გარემოებამ გამოიწვია ისეთი მდგომარეობა, სადაც ბრძოლის საგანი გახდა არა საერთო ეროვნული მტერი, არა საამისო კავშირების გამონახვა და ძალების დარაზმვა, არამედ ბრძოლა ურთიერთ შორის და ხელმძღვანელ პოლიტიკურ ორგანოებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ პარტიული თუ ჯგუფური ელემენტები აშკარად მაღლა დგება ნაციონალურ ინტერესებზე; ფიქრობენ ჩვენი ერთობის გატეხით და დაქსაქსვით უპირატესობა მიაყენონ თავიანთ ვიწრო წრეს.

ემიგრაციის დღის წესრიგში დგას აღდგენა შერყეული ერთობის, სავსებით გარიყვა ყველა დამარღვეველ, შფოთის და შინაური ბრძოლის მოციქულების, გარეკა თავის რიგებიდან პოლიტიკურათ საეჭვო ელემენტების.

ემიგრაციის უწმიდესი მოვალეობაა განურჩევლათ პოლიტიკური თუ პარტიული რწმენისა თავი მოიყაროს და გაამაგროს საქართველოსათვის მებრძოლი ორგანოები, უცხოეთში გადმოგზავნილი სპეციალურათ საქართველოდან განსაკუთრებითი მანდატებით და დავალებებით. საქართველოს ერთათ ერთი კანონიერი მედროშე და მისი სუვერენობის გამომხატველი არის მისი ნაციონალური მთავრობა. და ყველა პარტია, ჯგუფი თუ უპარტიონი მოვალენი არიან ის გაამაგრონ და მის გარეშემო თავი მოიყარონ.

შინაპარტიული საკითხი.

ეს ერთი ხანია საზღვარგარეთელ სოც.-დემ. ორგანიზაციებში ატყდა შინაპარტიული დავა. ეს დავა მიმდინარეობდა ორ ხაზზე—ორგანიზაციულზე და პოლიტიკურზე. პირველი შეეხებოდა უმთავრესად პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს მუშაობას, ხოლო მეორე—ჩვენი გამათავისუფლებელი მოძრაობის ტაქტიკის შეცვლას და ახალ გზაზე გადაწყობას. პირველი სადაო საკითხი იქნა ამოწურული და ამ ნიადაგზე მიღწეულია შეთანხმება. ამ შეთანხმებას სავსებით ცხოვრებაში გატარება თავდებია იმისა, რომ მის გარეშე მდგომი ამხანაგებიც შემოკრბებიან პარტიულ ხელმძღვანელობის ირგვლივ და გახდებიან მისი აქტიური დამხმარენი და დამცველნი.

სამწუხაროდ, ამ შეთანხმების გარეშე დარჩენილ ამხანაგებთან გამართული ხანგრძლივი მოლაპარაკება ჯერ ჯერობით უშედეგოთ დარჩა. ერთი ნაწილი არ ურიგდება პარტიის მიერ აღებულ ნაციონალური ბრძოლის ხაზს და მოითხოვს მის სავსებით შეცვლას და ამისდაგვარად პარტიის ხელმძღვანელობის აწყობას. მეორე დაჯგუფების ერთი ნაწილი კი («ორნატი») სავსებით ჩამოშორდა სოციალდემოკრატიულ პარტიას, მის იდეოლოგიას და გადავიდა მის მოწინააღმდეგე ბანაკში და ამით თავისთავი დააყენა ჩვენი პარტიის გარეშე.

კონფერენცია სიამოვნებით აღნიშნავს, რომ სოციალდემოკრატების დიდი უმრავლესობა საზღვარ გარეთ შეკავშირებულია ორგანიზაციულათ, იდეოლოგიურათ და პოლიტიკურათ საქართველოს მებრძოლ სოციალდემოკრატიულ პარტიასთან და მას მხარში უდგას.

კონფერენცია აცხადებს, რომ თანახმათ პარტიის წესდების პირველ მუხლისა პარტიის წევრათ ითვლება ის, ვინც აღიარებს საქართველოს მუშათა პარტიის პროგრამას, ჩარიცხულია რომელიმე პარტიულ ორგანიზაციის წევრათ და მოქმედებს მის ხელმძღვანელობით. კონფერენცია პარტიულ ორგანიზაციებათ აღიარებს შემდეგ საზღვარგარეთელ ორგანიზაციებს: პარიზის, სოშოს, ბერლინის, პრაღის და თეირანის, რომელნიც მუშაობენ პარტიის ხელმძღვანელობით და წარმოდგენილი არიან ამ კონფერენციაზე.

◆

გუშინდელი ამბები

2. დასასრული.

სწორეთ საკვირელია, კაცი თავს გჭრიდეს და თმაზე გედავებოდეს. ირ. წერეთელი არ იზიარებს ჩვენი ნაციონალური ბრძოლის მთელ ხაზს და გვედავება რაღაც წვრიმალებზე. ამ დავის აზრია ერთათ ერთი—მიფუჩეჩდეს მთავარი უთანხმოება და ჩავეფლათ ინტრიგებში. რა საჭიროა ეს? რა საჭიროა მტკიცება იმის ვითომ ჩვენი უთანხმოება დაიწყო «წერილებით», ე. ი. 1927 წ., მაშინ როდესაც ის დაიწყო 1924 წ. გასულს და 1925 წ. ცნობილ საჯარო დისკუსიებში. სწორეთ აქ დაგვაბრალა მან «სამხედრო კომბინაციების» ძიება, ხოლო ახლა კი იძახის—ეს «სადირექტივო წერილებიდან» მომდინარეობს და ამან «აღაშფოთა» ადლერიო. ვთქვათ ადლერმა აქ დაინახა ეს, მაგრამ თვით ირ. წერეთელმა რაში დაინახა ის ორი წლით ადრე? მართალია ის თავის ბროშიურაში მთავარ ასეთ წყაროთ ასახელებდა ი. ჭავჭანიძის წერილს, დაბეჭდილს «ბრძოლა»-ში (№ 22), ხოლო არც ამ ნომრის, არც თვით «ბრძოლის» ჭაჭანებაც კი არ იყო იმ დროს, როცა მან თავისი ბრალდებები წამოაყენა საჯარო კრებაზე. ცხადი იყო და არის დღესაც, რომ ეს გახლდათ მომიზეზება პარტიის მთავარი პოლიტიკური ხაზის დასასამარებლათ და თავისის გასაყვანათ. ნათქვამია, როცა ძაღლის მოკვლა სურთ, ცოფიანობას დააბრალებენ. თვარა როგორ დავიჯეროთ ირ. წერეთელმა არ იცის, რაც ყველამ იცის; სამხედრო კომბინაციები არა თუ ჩვენ, არამედ თვით იმპერიალისტურ სახელმწიფოებსაც არ აქვთ და ყველა თავის იმედს ერთა ლიგაზე ამყარებს. ლიგიდან გერმანია-იაპონიის გასვლამ აღაშფოთა სხვები სწორეთ იმიტომ, რომ ვაი თუ ძველებურათ სამხედრო კავშირების პოლიტიკა აწარმოვონო. და როცა ჩვენ, დევნილთ და დაპყრობილთ, ამ ცხრა წლის წინ, ერთა ლიგის აპოთეოზის ხანაში, წერეთელმა წამოგვიყენა ასეთი უდიერი ბრალდება—რა უნდა ეფიქრა ჩვენზე ინტერნაციონალს, მთელ საერთაშორისო დემოკრატიას? აი საიდან მოდის სათავე ჩვენი საქმის დაფოლების სოციალისტურ წრეებში.

ახლა ირ. წერეთელი მთელ ამ ისტორიას იწყებს «წერილებიდან»; ნამდვილათ კი ამ ორ ამბავს არაფერი საერთო არ აქვს. ის გვაბრალებდა «სამხედრო კომბინაციებს» უცხო სახელმწიფოებთან, ხოლო «წერილებშია» ლაპარაკი სამხედრო კომბინაციებზე რუსეთისაგან განთავისუფლებულ ერებთა შორის მოსკოვისაგან თავის დასაცავათ. ეს ერები ხომ არ არიან იმპერიალისტური ძალები, ხოლო რუსეთი არა-იმპერიალისტური, რომლისაგან თავის დაცვა მომაკვდინებელი ცოდვა იყოს. ამ «სადირექტივო» შეხედულობას ჩვენ არა თუ არ უარვყოფთ, პირიქით მას საჯაროთ ვაცხადებთ და უდებთ საფუძვლათ კავკასიის კონფედერაციას, რომლის პროექტი დიდი ხანია დავბეჭდეთ. ხოლო კავკასიის ერთა კონფედერაცია ნიშნავს პირველ ყოვლისა მათ სამხედრო კავშირს თავის დასაცავათ. უამისოთ ხომ მეორე დღესვე დაბრუნდება მოსკოვი და აგვკაკლავს ცალ-ცალკე, როგორც მან ეს ერთხელ მოიმოქმედა. ეს ძლიერ კარგათ მიხვდა ადლერი და ამიტომ თავის მოხსენებაში მან ხაზი გაუსვა წერილის არა ამ მხარეს, არამედ კოალიციის საკითხს. ირ. წერეთელმა ეს ადგილი მოხსენებისა არ მოიყვანა და მხოლოდ მისი სიტყვით გადმოგვცა «სამხედრო კომბინაციებმა» აღელვა ადლერიო. აი სინამდვილე: მოყავს რა მას ნ. რამიშვილის წერილიდან ადგილი შესახებ კავშირისა «პრომეთე»-სან, უკრაინისა და სხვა ერებთან და მათთან სამხედრო კავშირისა, ადლერი აგრძელებს:

«ეს დამოკიდებულება საზღვარგარეთელი ბიუროსი წარმოადგენს დიდ საშიშროებას, ვინაიდან აქ ანგარიში ეწევა ისეთ ჯგუფთა მოქმედებას, რომელნიც არავითარ პასუხს არ აგებენ ინტერნაციონალის წინაშე და რასაც შეუძლია სახელი გაუტეხოს თვით ბიუროს». აი ადლერის დაფასება, სიტყვა არ არის სამხედრო კომბინაციებზე, მთელი ყურადღება გადატანილია კოალიციაზე არა-სოციალისტურ დაჯგუფებებთან.

შემდეგ ადლერი სწერს რომ «წერილების» პოლიტიკა «არ უნდა ეთანხმებოდეს ინტერნაციონალის სამშვიდობო პოლიტიკას («ne parait pas conciliable»). სწორეთ ეს საკითხი შეადგენს მთავარ ძარღვს ანტაგონიზმისას წერეთელს და ჟორდანია-რამიშვილის შორის... აი რას სწერს ირ. წერეთელი თავის ბროშიურაში 1927 წ.», და მოყავს მთელი გვერდები*). აქედან აშკარაა, რომ ადლერი თავისი გაგებით გვიწუნებდა კოალიციას, ხოლო წერეთლის მოწმობით და საბუთებით «არა-სამშვიდობო პოლიტიკას». ახლა ადვილი მისახვედრია, ვინ იყო ადლერის მთავარი ინფორმატორი და ჩამგონებელი.

ადლერი იწერს ირ. წერეთლის ბროშიურიდან სწორეთ იმ ადგილებს სადაც სამხედრო კომბინაციებზეა ლაპარაკი და სადაც დაუშვებლათ გამოცხადებულია «იმ აზრის თესვა რომ სამხედრო იმპერიალისტური კონფლიქტები ერთი ხელსაყრელი პერსპექტივათაგანია მისი (საქართველოს) განთავისუფლებისა» და სხ. ერთი სიტყვით ომით სარგებლობა განსათავისუფლებელი მიზნებით გამოცხადებულია ინტერნაციონალისაგან განდგომათ. ამის გამო ჩვენ გამოცხადებული ვიყავით მილიტარისტებათ, სოციალიზმის მოღალატეთ და სხვა. ასე იყო წინეთ. როგორ არის ახლა?

ახლა მდგომარეობა და აზროვნება სრულიად შეიცვალა. მას შემდეგ რაც გერმანელი და ავსტრიელი სოციალისტები მოხვდენ ჩვენსავით ემიგრაციაში, დაკარგეს თავისი სამშობლო, თავისი შინაური წეს წყობილება და დაუპირდაპირდენ არსებულ ხელისუფლებას, ამეტყველდენ ჩვენსავით, ომი აღარ გამოაცხადეს ეშმაკეულათ და მასზე ზოგი იმედებიც ააგეს. აი მაგ. რას ვკითხულობთ გერმანიის ს.-დემ. პარტიის ცენტრალური ორგანო «ახალი ფორვერტში»:

«თუ მაინც ომმა იფეთქა, ამ შემთხვევისათვის ჩვენ უნდა ვიყოთ შიგნიდან მზათ, რომ ომმა ჰიტლერის ბატონობა დაასამაროს .... ჰიტლერის დესპოტიზმი ბევრში გავს ნაპოლეონ მესამის დიქტატურას საფრანგეთში. ხოლო ეს დიქტატურა ომით გათავდა. როცა ომი წააგეს, პარიზის მუშებმა კომუნა გამოაცხადეს» (№ 26).

ახლა ბაუერიც კი ალაპარაკდა ამ ჰანგებზე. ის სწერს თავის ახალ ბროშიურაში «ავსტრიის მუშათა აჯანყება»:

«ავსტრიის სოციალდემოკრატიის დამარცხებამ გაანთავისუფლა ორივე გზა: გზა ჰიტლერისაკენ და ჰაბსბურგებისაკენ. მაგრამ ორივე გზას მივყევართ ომისაკენ... თუ კონტრ-რევოლიუციას მივყევართ ომისაკენ, ომი მიგვიყვანს რევოლიუციისაკენ... შემთხვევა, რითაც ჩვენ ვისარგებლებთ, ცოტა არ იქნება. მხოლოდ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენ შევსძლოთ მათი გამოყენება სავსებით მომზადებული» (გვ. 56-57).

ე. ი. ომი ერთი პერსპექტივათაგანია გასანთავისუფლებელი ბრძოლისა, აცხადებენ ახლა გერმანელნი და ავსტრიელნი. დევნილნი და გაჭივრებულნი გამოეყვენ დალხინებულთ და ჩვენსავით ამეტყველდენ. ის რასაც ჩვენ წინეთ «წერილებში» ვლაპარაკობდით და ახლა ეს გუშინდელი ჩვენი კრიტიკოსები იმეორებენ ასე ვთქვათ ზურგიელიძის ჭეშმარიტებაა. ყველამ იცის რომ არა ერთი და ორი ომის შედეგი ყოფილა როგორც ნაციის განთავისუფლება, ისე დემოკრატიის დაპყრობა. და თუ უცებ წერეთლის და დან-აბრამოვიჩის მეთაურობით ეს ანბანი ინტერნაციონალში ერთხელ დაივიწყეს—ამის მიზეზია უბრალო ამბავი: მაძღარს მშიერი არ ესმის და არც ეამხანაგება. ბელგიელისათვის, მაგ. ყოველნაირი ცვლილება საერთაშორისო ასპარეზზე მიუღებელია და მას მეტათ უფრთხის, რასაკვირელია. ახლა ამას მიუმატეთ ბოლშევიზანური მიმდინარეობის გაძლიერება და საბჭოთა კავშირის დაცვის ქადაგება. აი ამის შედეგი იყო ეგზეკუტივის რეზოლიუცია 1928 წ. სადაც დებრუკერის მოხსენებით დაგმობილი იყო უკრაინის სოციალდემოკრატების კოალიცია სხვა პარტიებთან, მათი ნაციონალური ბრძოლა მონათლულია შოვინიზმათ და სხ. ამ რეზოლიუციამ და მომხსენებელის სიტყვამ გამოიწვია აღშფოთება ბიუროში და წერეთელს მოსთხოვეს პასუხი, როგორ დაეთანხმა ის ამას. წერეთელმა კი განაცხადა: «დებრუკერი თავის სიტყვაში გულისხმობდა საქართველოსაც, ეს მართალია და მე მას სავსებით ვეთანხმები. მე ვფიქრობ მისი ასეთი გამოსვლა თქვენ ჩაგაფიქრებს და ამ მხრივ მე ეს მიმაჩნია დადებით მოვლენათ»! (ოქმი 10 მარტის 1928 წ.). ასე ამხედრებდა უცხო ამხანაგთ ჩვენი პარტიის წარმომადგენელი თავის პარტიის წინააღმდეგ! და ეს იმიტომ რომ ჩვენ გავბედეთ და ვთქვით ომი ხანდახან განმათავისუფლებელიც შეიძლება იყოს თქვა.

არ გამოუდგები წვრიმალებს. წერეთლის მიერ მათი მოთხრობას არავინ არ ამოწმებს გარდა წერეთლისა. და რაც საკვირელია ე. გეგეჭკორის მოწმობით თვით წერეთელი ყოფილა მომხრე ნოდიას საკითხის სავსებით ამოღების «დოკუმენტიდან», ხოლო ახლა კი ამ ზღაპარს ის თავგამოდებით იცავს. ასეთი ძაფებით არის შეკერილი ყველა მისი წვრიმალები. შესაძლებლათ მიმაჩნია კაცს არ ახსოვს, დიდი ხანი განვლო, მაგრამ შეუძლებლათ მიმაჩნია საჯაროთ სწეროს ის რაც არ ახსოვს და არ მოისუროვოს მისი შემოწმება წინასწარ დოკუმენტებით. წერეთელი თავის დროზე ბიუროში ძალიან იკვეხდა, მე ვარ რასაკვირელია, ადლერის ინფორმატორიო, ხოლო ახლა კი რეგლამენტის დამატების გაგზავნაზედაც კი უარს ამბობს! საზოგადოთ წერეთლის მიწერ-მოწერა ინტერნაციონალთან შეადგენდა მის საიდუმლოებას, წინააღმდეგ ბიუროს რეგლამენტისა, და არც ამის რაიმე კვალია დარჩენილი ბიუროს საქმეებში. როდის რას სწერდა ის, რა ცნობებს აწვდიდა ინტერნაციონალს წერილობით ბიუროს არასოდეს არ სცოდნია, არც ერთი ასლი მისი წერილისა მას არ წარმოუდგენია.

ჩვენ ტაქტიკას ვიღებთ პარტიიდან, პარტია კი ხალხისაგან. ეს ასე არის ყველა სოციალისტურ პარტიაში. ი. წერეთელმა მოინდომა ამ გზის შეცვლა, ჩვენთვის ტაქტიკის მოცემა უცხოელთაგან, დალხინებული თავისუფალ ერების საშოში გამომუშავებული მეთოდებით შეცვლა ჩვენ დამოხებულ ერში გამომუშავებული მეთოდებისა. ამ ხაზის გამარჯვება ნიშნავდა ჩვენი პარტიის საქართველოს სინამდვილისაგან მოწყვეტას, ქართველი ხალხისაგან გამარტოვებას და განყენებულ მცირე რიცხოვან ემიგრანტულ სექტათ გადაქცევას. მსგავსათ რუსის მენშევიკებისა. ჩვენ ეს მას არ დავანებეთ, ბიურო და პარტია არ დავანგრევიეთ. ამაში უეჭველათ ბრალი მიგვიძღვის და მას აქვს საბუთი გაწყრომისა. ასეთი საბუთი მუდამ ექნება...

ნ. ჟ.

---

*) ჩვენ დიდის სიამოვნებით დავბეჭდავდით ადლერის მთელ მოხსენებას, რომ ლონდონის ეგზეკუტივს 1929 წ. არ დაედგინა—არ გამოქვეყნდესო. წერეთელს ეს ალბათ აღარ ახსოვს.

შეცდომის გასწორება: ამ წერილის პირველ თავში მესამე სვეტზე დაბეჭდილია მაისი 1926 წ. უნდა იყოს მაისი 1925 წ.

იბეჭდება და გამოვა 26 მაისისათვის
ორი ახალი ქართული წიგნი:

1. ცეცხლქვეში მაისი, ვლასა მგელაძისა.
2. ისტორიული ლანდები, ს. ფირცხალავასი.

Arpajon— Imprimerie de *La Gazettede Seine-et-Oise.*

Le Gérant : René Toussaint.